ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 16 მარტი, 2021 №42 (8571) ფასი: 60 თეთრი

ნოდარ მელაძემ სახელმწიფო დაცვაზე უარი თქვა

„დაცვის მიზანი ჩემი კონტროლი იქნება“

გვ.5

16 მარტიდან ქართული საბავშვო ლექსის ანთოლოგია

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

„ოცნება“ ვადამდელ არჩევნებს ნაბეგებს“

გვ.4

სოსო ცინცაძე: „ოცნებაში“ მარჯვენამ არ იცის, მარცხენა რას აკეთებს“

ნიკა მელია: „ჩვენ გვჭირდება ახალი არჩევნების შედეგად არჩეული ახალი კოალიციური მთავრობა“

გვ.2

გვ.2

„ივანიშვილს ჭყვეთა ბაზარი უნდა, ამიტომ დაიჭირა მელია“

თინა ბოკუჩავა: „ყველას გვესმის ოპოზიციაში, რომ გარკვეული დათმობა ყველა მხრიდან აუცილებელია“

„ქვეყნის იმიჯს საფრთხე ექმნება“

კორნელი კაკაჩია: „პოლიტიკური კრიზისის გაგრძელება არც ჩვენს ინტერესებშია და არც ევროკავშირის“

გვ.3

გვ.3

„ოცნება ნაჭუჭშია ჩაკეტილი“

ჯონდი ბაღათურია: „კრიზისიდან გამოსვლის ერთადერთი გზა ვადამდელი არჩევნებია“

გვ.2

პაატა მანჯგალაძე: „შეთანხმების ჩაშლის მიზეზები კი არა, კომპრომისის გზები უნდა ვიპოვოთ“

„პოლიტიკური მოლაპარაკებების მიმართ პესიმისტურად ვარ განწყობილი“

სოსო შატბერაშვილი: „ე.წ. გაერთიანებულ ოპოზიციაში გადამწყვეტია სააკაშვილ-კეზერაშვილის კლასტერი თავისი ფინანსებითა და ტელევიზიებით“

გვ.4

შსს-ს სანაპირო დაცვა საქართველოს ტერიტორიულ წყლებში ნატოს ხომალდებს მასპინძლობს

გვ.5

ISSN 1987-9385

2 გია ოლსკი: „ჩვენი წინადადებები არის სამართლიანი და ჭკუასთან ახლოს“

5 მამა-შვილს სომხეთის 3 მოქალაქე მონებად ჰყავდა

5 671.153 ლარის მითვისებისთვის სასამართლომ 5 პირი დამნაშავედ ცნო

6 კასტექსი: „საფრანგეთში ინფიცირებულთა რაოდენობა მატულობს, ამიტომ ყველა უნდა ავიცრათ“

თინა ბოკუჩავა: „ივანიშვილს ტყვეთა ბაზარი უნდა, ამიტომ დაიჭირა მელია“

„ყველას გვესმის ოპოზიციაში, რომ გარკვეული დათმობა ყველა მხრიდან აუცილებელია“

იაგო ნაცვლიშვილი

რა დათმობისთვის არის მზად ოპოზიცია და რა მოლოდინები აქვს საქართველოში მიმდინარე მოლაპარაკებებიდან თუ ბრიუსელიდან? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი თინა ბოკუჩავა საუბრობს.

— რატომ ვერ თანხმდებით მხარეები და რა არის ის წყალგამყოფი, რომელიც ამ პროცესს ხელს უშლის?

— წყალგამყოფი და ყველაზე პრობლემური საკითხი „ქართული ოცნებისთვის“ ვადამდელი არჩევნებია. ესეც გასაგებია იმიტომ, რომ ივანიშვილს სურს, ნებისმიერ ფასად შეინარჩუნოს ძალაუფლება და ამ დათმობისთვის მზად არ არის, იმის მიუხედავად, რომ მან ყველაზე კარგად იცის, როგორ ჩატარდა 31 ოქტომბრის არჩევნები და ის, რომ პროპორციულ ნაწილში ხმათა უმრავლესობა მოიპოვა ოპოზიციამ, მათ შორის, მათ მიერ დაწერილი შედეგებითაც კი ვერ გაზარდეს მაჩვენებელი 48%-ზე მეტად.

ამიტომ ვადამდელი არჩევნები ახლა ყველაზე რთულად შეთანხმებადი საკითხი გახდა, რაც, პრინციპში, მოსალოდნელი იყო, თუმცა, საბოლოო ჯამში, მას მაინც მოუწევს რაღაც დათმობაზე წამოსვლა, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც ოპოზიცია ძალიან პრინციპულია ამ საკითხზე და მოქნილია იმ თვალსაზრისით, რომ ცდილობს მოიძიოს სხვადასხვა ინსტრუმენტი, რითაც შეიძლება იყოს მიღწეული ვადამდელი არჩევნები.

— დანიელსონმა თქვა, რომ მნიშვნელოვანია, მხარეები იყვნენ კონსტრუქციულები. ეს იმგვარად უნდა გავიგოთ, რომ კონსტრუქციული არც ერთი მხარე არ არის, არც ხელისუფლება და არც ოპოზიცია?

— ეს მოწოდებაა კონსტრუქციულობისკენ და ჩვენ ვთვლით, რომ ოპოზიცია მაქსიმალურად კონსტრუქციულია, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მათ შორის იმ თვალსაზრისით, რომ ვცდილობთ მოვიძიოთ სხვადასხვა ინსტრუმენტი იმ მიზნის მისაღწევად, რაც აუცილებელია ამ კრიზისის განსამუხტად.

ზოგადად, ალბათ, ვთანხმდებით იმაზე, რომ მთავარი პასუხისმგებლობის მატარებელი მაინც ხელისუფლებაა, რადგანაც მის ხელშია ზემოქმედების ბერკეტები, ანუ ის არის მონოპოლისტი ძალაუფლებაზე და, შესაბამისად, იმ მექანიზმებზე, რომლებიც უნდა გამოიყენოს ამ კრიზისის განმუხტვისთვის. მაგალითად, ყველას კარგად გვესმის, რომ ამ ყინულის დნობა ვერ და არ დაიწყება, თუ ელემენტარული ნდობის აღდგენის ნაბიჯები არ იქნება გადადგმული და ასეთი პირველი ნაბიჯი უნდა იყოს პოლიტპატიმრების გათავისუფლება.

ამაზე საუბრობენ ჩვენი საერთაშორისო პარტნიორები, მათ შორის, ევროპარლამენტში ჩატარებულ დებატებზე. ერთობლივ წერილშიც ამაზეა საუბარი, რომელსაც ხელს აწერენ საქართველოს მეგობრები. ამიტომ ეს ბერკეტები სწორედ ხელისუფლების ხელშია და, შესაბამისად, მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა მოდის ხელისუფლებაზე.

— მამუკა მდინარაძემ თქვა, რომ გასაღები ხელისუფლების ხელშია, მაგრამ მარტო ვერ გააღებს კარს და საჭიროა, ყველა მხარემ ერთად მოარგოს საკეტს გასაღები. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ოპოზიცია არაა მზად კომპრომისისთვის. რა არის ის კომპრომისი, რომელზეც ოპოზიცია წავა?

— ივანიშვილის მხრიდან ნიკა მელიას დაპატიმრების მთავარი მიზეზი სწორედ ის იყო, რომ შემდეგ მისი თავისუფლებით ევაჭრათ მოლაპარაკების მაგიდასთან. ივანიშვილი იტაცებს ადამიანებს, ატყვევებს მათ, პოლიტიკურ პატიმრებად აქცევს და შემდეგ მათი თავისუფლებით ვაჭრობს მოლაპარაკების მაგიდასთან. ჩვენთვის ადამიანებით ვაჭრობა მიუღებელი და ამორალურია. არ შეიძლება, ეს იყოს ნორმალური პოლიტიკური პროცესის ნაწილი. ამიტომ, როგორც მინიმუმ, მათ ეს ნაბიჯი უნდა გადმოდგან, რომ გაათავისუფლონ ის ადამიანები, რომლებიც პოლიტიკური ნიშნით ჰყავთ საპყრობილეში. ამის შემდეგ უკვე შესაძლებელია განმუხტვის მექანიზმებზე საუბარი.

ასევე განიხილება პლებისციტის საკითხი, რაზეც გარკვეული აზრთა სხვადასხვაობაა ოპოზიციაში. მე, პირადად, სკეპტიკოსთა რიცხვს მივეკუთვნები ამ საკითხზე, თუმცაღა ყველას გვესმის ოპოზიციაში, რომ გარკვეული დათმობა ყველა მხრიდან აუცილებელია და მზად ვართ, ამგვარი ინსტრუმენტები და სხვადასხვა შესაძლებლობა განვიხილოთ ვადამდელი არჩევნების მისაღწევად.

ჩემი აზრით, საკმაო მოქნილობასა და, რაც მთავარია, გონივრულობას ავლენს ოპოზიცია, მაგრამ ამ ფონზე ხელისუფლებას არ სურს არაფრის დათმობა და უნდა, რომ ტყვეთა ბაზარი იყოს მოლაპარაკების მაგიდის ნაცვლად, ნიკა მელიას გათავისუფლების ხარჯზე დააკმაყოფილოს ოპოზიციის მოთხოვნები. ეს ვერ და არ მოხდება. ამის გაცნობიერებაა მნიშვნელოვანი ივანიშვილის მხრიდან იმისთვის, რომ მისი მომლაპარაკებლები ასევე კეთილი შემოთავაზებით მოვიდნენ მოლაპარაკების მაგიდასთან.

— გაქვთ თუ არა მოლოდინი, რომ საქართველოში მიმდინარე პროცესების პარალელურად, პოზიტიურ სიგნალებს უნდა ველოდოთ ბრიუსელიდანაც?

— ჩვენი დასავლელი პარტნიორები შეშფოთებული არიან იმით, რომ საქართველომ გადაუხვია ევროატლანტიკურ გზას და რომ ის მიღწევები, რაც საქართველოს ჰქონდა დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობის თვალსაზრისით დამოუკიდებლობის აღდგენიდან ბოლო რამდენიმე დეკადის განმავლობაში, ახლა წყალში იყრება, მათ შორის, ფინანსური ინვესტიცია, რომელიც ჩადებული აქვს ევროკავშირს.

ამიტომ მოლოდინები ძალიან მაღალია. ევროპარლამენტარებმა თალაკვაძისთვის გაგზავნილ წერილში თქვეს, რომ ამბიციურ საგარეო გეგმებს ამბიციური დემოკრატიული სტანდარტები სჭირდება.

ახლა უნდა გადაწყვიტოს ივანიშვილმა, ირჩევს ამბიციური რეფორმების გზას, რომელიც მიგვიყვანს ევროკავშირამდე თუ ირჩევს ავტორიტარულ გზას, რომელიც ამ ქვეყანას არსაით წაიყვანს, რომელიც ჩამოაშორებს ევროატლანტიკურ გზას და ერთადერთ არჩევნად დაუტოვებს რუსულ ორბიტას.

ეს არჩევანი აქვს ივანიშვილს. როგორც აშშ-ის ყოფილმა ელჩმა საქართველოში იან კელიმ მათ უთხრა: ბატონებო, კარგად დაფიქრდით და შემდეგ გააკეთეთ არჩევანი.

ნიკა მელია: „ჩვენ გვჭირდება ახალი არჩევნების შედეგად არჩეული ახალი კოალიციური მთავრობა“

ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე ნიკა მელიას შეფასებით, რეფორმების პარალელურად, სასიცოცხლოდ აუცილებელია ვადამდელი არჩევნების დანიშვნა. ამის შესახებ მელია სოციალურ ქსელში წერს.

ნიკა მელია მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს ციხიდან ეხმაურება და აღნიშნავს, რომ საქართველოს ახალი არჩევნების შედეგად არჩეული ახალი კოალიციური მთავრობა სჭირდება, რომელსაც მოსახლეობის ნდობის მანდატი ექნება და პრობლემების მოგვარებას შეძლებს.

„რაც ყველაზე მთავარია, ამ რეფორმების პარალელურად, სასიცოცხლოდ აუცილებელია ვადამდელი არჩევნების დანიშვნა.

„ქართულ ოცნებას“ ქვეყნის უმძიმესი მდგომარეობიდან გამოსაყვანად, სოციალური, ეკონომიკური და ჯანდაცვის კრიზისების დასაძლევად, რომლებმაც დრამატულად მძიმე მასშტაბებს მიაღწია, აღარანაირი რესურსი აღარ დარჩა.

ჩვენ გვჭირდება ახალი არჩევნების შედეგად არჩეული ახალი კოალიციური მთავრობა, რომელსაც მოსახლეობის ნდობის მანდატი ექნება და ახალი ძალითა და ენერგიით უმძიმესი პრობლემების მოგვარებას შეძლებს.

ჩვენ დამოუკიდებლობის ურთულესი ოცდაათწლიანი პერიოდი გამოვიარეთ, ენით აღუწერელ სირთულეებს გავუძელით და ყოველთვის წინ მივდიოდით — ზოგჯერ პატარა ნაბიჯებით, ზოგჯერ — დიდი ნახტომებით.

ჩვენ შევძელით, არშემდგარი სახელმწიფოდან რეგიონში სამაგალითო ქვეყანა გავმხდარიყავით. ამ გზაზე ბევრი ძალიან მძიმე შეცდომაც დავუშვით, მაგრამ მათმა გაანალიზებამ, დიდ გამოცდილებასა და სიბრძნესთან ერთად, ცოდნა შეგვძინა, როგორ აღარ უნდა გავიმეოროთ ისინი.

ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს ძლიერი, თავისუფალი მედია, სამოქალაქო სექტორი და გვყავს სამოქალაქო აქტივისტების ახალი თაობა — თავიანთ სფეროებში ძალიან წარმატებული ახალგაზრდები. ამიტომ ჩვენ ყველაფერი გვაქვს იმისთვის, რომ ერთმანეთს ხელი ჩავჭიდოთ და ავტორიტარიზმის იმ ღრმა უფსკრულში არ გადავეშვათ, რომელსაც ერთი ნაბიჯი გვაშორებს.

ამიტომ კიდევ უფრო მეტად უნდა გავერთიანდეთ, უარი ვთქვათ იმპულსურ და ემოციურ გადაწყვეტილებებზე, ქვეყნის მომავლისთვის აუცილებელი ნაბიჯები გადავდგათ და კრიზისი შესაძლებლობად ვაქციოთ“, — წერს ნიკა მელია.

გია ვოლსკი: „ჩვენი წინადადებები არის სამართლიანი და ჭკუასთან ახლოს“

— მეტი კონსულტაციებია საჭირო ოპოზიციასთან, რათა როგორმე გავცდეთ და გადავაბიჯოთ ულტიმატუმის ენას.

ამის შესახებ პარლამენტის პირველმა ვიცესპიკერმა გია ვოლსკიმ ჟურნალისტებთან განაცხადა, რითაც შარლ მიშელის პირად წარმომადგენელთან 14 მარტს გამართულ შეხვედრებს გამოეხმაურა.

— ჩვენი წინადადებები არის სამართლიანი, ჭკუასთან ახლოს და იმ ინტერესებზე ორიენტირებული, რაც გააჩნია არა მარტო მოსახლეობას, არამედ საერთაშორისო თანამეგობრობას. მეტი კონსულტაციებია საჭირო ოპოზიციასთან, რათა როგორმე გავცდეთ და ულტიმატუმის ენას გადავაბიჯოთ. არა მხოლოდ ევროკავშირია დაინტერესებული თავისი ასოცირებული წევრის პრობლემის მოგვარებით, არამედ მსოფლიოს პოლიტიკური ელიტაც არის დაინტერესებული იმით, რომ საქართველოში სტაბილურობა შედგეს. დასავლელი პარტნიორების ინტერესია, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონში ისეთი მოკავშირე ჰყავდეთ, სადაც სტაბილურობა არის გარანტირებული, — აცხადებს ვოლსკი.

პაატა იმნაძემ ასტრაზენეკას ვაქცინა პირდაპირ ეთერში გაიკეთა

გუშინ, 15 მარტს, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე პაატა იმნაძემ კოვიდის საწინააღმდეგო ვაქცინა საჯაროდ გაიკეთა.

პაატა იმნაძე თბილისის ინფექციურ საავადმყოფოში აიცრა.

— დღეს მნიშვნელოვანი დღეა ჩვენი ქვეყნისთვის, რადგან დღეიდან იწყება ეპიდემიის დასრულების დასაწყისი. ყველამ კარგად უნდა გავითავისოთ, რომ ვაქცინა არის ერთადერთი გზა ეპიდემიის დასამარცხებლად. ამიტომ მე მინდა, ჩემს ყველა კოლეგას, თითოეულ თანამოქალაქეს მოვუწოდო — იმისთვის, რომ დავუბრუნდეთ ცხოვრების ნორმალურ რიტმს, აუცილებელია, რაც შეიძლება მეტი ადამიანი აიცრას. ხედავთ, რომ არაფერია საშიში, — განაცხადა პაატა იმნაძემ ვაქცინაციის ჩატარების შემდეგ.

შეგახსენებთ, რომ საქართველოში კოვიდ 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია 15 მარტიდან დაიწყო. პირველი აცრა „ევექსის“ კლინიკის ექიმს ზუგდიდში ჩაუტარდა. საქართველოში ასტრაზენეკას ვაქცინის პირველი პარტია 13 მარტს შემოვიდა. შესაბამისად, ამ ეტაპზე ვაქცინაცია სწორედ აღნიშნული ვაქცინით მიმდინარეობს.

პაატა მანჯგალაძე: „შეთანხმების ჩაშლის მიზეზები კი არა, კომპრომისის გზები უნდა ვიპოვოთ“

— შეთანხმების ჩაშლის მიზეზები კი არა, კომპრომისის გზები ვიპოვოთ, მეგობრებო, რადგან შეთანხმება და კომპრომისი არ ნიშნავს არავის უკანდახევასა და დამარცხებას.

ამის შესახებ „სტრატეგია აღმაშენებლის“ გენერალურმა მდივანმა პაატა მანჯგალაძემ მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შეფასებისას განაცხადა.

პაატა მანჯგალაძის თქმით, „ქართულმა ოცნებამ“ ნდობის ფაქტორი სრულად ამოწურა.

— ჩემთვის გაუგებარია „ქართული ოცნების“ ლიდერების სამართლიანი შეთანხმების პირობებზე ზედმეტი აქცენტირება, რადგან ისე საუბრობენ, თითქოს ისინი წარმოადგენდნენ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესს, ხოლო ჩვენ — უმცირესს და რაღაც უნდა გვიწყალობონ.

ვიდრე სამართლიან პირობებზე დაიწყებენ საუბარს, უნდა იაზრებდნენ, რომ სწორედ ისაა დიდი უსამართლობა, რომ ისინი იწოდებიან ხელისუფლებად და არა ის ძალები, რომლებსაც მოსახლეობის უმრავლესობამ დაუჭირა მხარი. უსამართლოა, როცა კრიზისის განმუხტვის სამართლიან პირობებზე საუბრობს ის მხარე, რომლის დამსახურებითაც იმყოფება ქვეყანა და ხალხი ამ კრიზისში. რა საერთო აქვს სამართალთან იმას, რომ სამართლიანობაზე საუბრობს ის ძალა, რომელმაც როგორც საგარეო, ისე საშინაო ასპარეზზე სრულად ამოწურა ნდობის ლიმიტი და მთავარ ხელშემშლელ ფაქტორად იქცა ჩვენი მოქალაქეების კეთილდღეობისა და ქვეყნის განვითარების გზაზე.

შეთანხმების ჩაშლის მიზეზები კი არა, კომპრომისის გზები ვიპოვოთ, მეგობრებო, რადგან შეთანხმება და კომპრომისი არ ნიშნავს არავის უკანდახევასა და დამარცხებას, — განაცხადა მანჯგალაძემ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი — სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური — კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური — 599-532-690
დირექტორი — ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური — მერაბ ლეკერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ქვეყნის იმიჯს საფრთხე ექმნება“

კორნელი კაკაჩია: „პოლიტიკური კრიზისის გაგრძელება არც ჩვენს ინტერესებშია და არც ევროკავშირის“

იაგო ნაცვლიშვილი

რა გაიგო ხელისუფლება-ოპოზიციის მოლაპარაკებებიდან? რა მოლოდინები აქვს ამ პროცესისგან და რას ელის ევროკავშირის მხრიდან? რატომ დგას აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში ქვეყნის იმიჯი რისკის ქვეშ? რას ელოდება ევროკავშირი საქართველოსგან და ფიქრობს თუ არა, რომ საქართველოში პოლიტიკური კრიზისის დასასრული დაიწყება? – ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი **კორნელი კაკაჩია** საუბრობს.

– ჩამოვიდა მედიატორად ევროპელი დიპლომატი, ჩამოვიდა 2 დღით, მაგრამ მოუწია გაურკვეველი დროით დარჩენა. რა გაიგეთ ამ დღეების განმავლობაში მოლაპარაკების პროცესიდან?

– როგორც მოსალოდნელი იყო, არ იყო მარტივი მოლაპარაკებები, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანდა. ამაში დარწმუნდა ევროპელი დიპლომატი, რომელსაც კიდევ მოუწია დარჩენა. ეს იმას ნიშნავს, რომ ის ე.წ. წითელი ხაზები, რომლებიც ორივე მხარემ გაავლო, ადვილი გადასალახი არ არის. ასევე, მეორეა ის, რომ ევროკავშირისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ეს მოლაპარაკებები იმიტომ, რომ ყარაბაღის მოვლენების დროს რეგიონში არ შეიმჩნეოდა ევროკავშირისა და აშშ-ის აქტიურობა. ამან გარკვეულწილად ჩრდილი მიაყენა მის ავტორიტეტს. ამ კუთხით ევროკავშირი ცდილობს, ეს მოლაპარაკებები შედეგიანი იყოს. ეს მისი იმიჯისთვისაც კარგია, როგორც აღმოსავლეთ პარტნიორობის სამეზობლოში. ისინი დაინტერესებული არიან და, ჩვენ გარდა, ისინიც დაინტერესებული არიან იმით, რომ რაღაცნაირად წარმატებით დასრულდეს ეს პროცესი, თუმცა ჩანს, რომ ბევრ რამეზე მიღწევა ვერ ხერხდება. განცხადებებიდან ჩანს, რომ რაღაც წინსვლა არის, მაგრამ საბოლოო შეთანხმებამდე შორია.

– დანიელსონმა თქვა, ვაგრძელებთ მუშაობას, არის სერიოზული საკითხები, რაც გადასაწყვეტია და მნიშვნელოვანია, ახლა მხარეები იყვნენ კონსტრუქციულებიო. ეს უნდა გავიგოთ იმგვარად, რომ ორივე მხარეს წითელი ხაზები აქვს გავლებული და ამის შესაბამისად მოქმედებენ?

– რა თქმა უნდა. ყველაზე პრობლემურია ვადამდელი არჩევნებისა და პოლიტპატიმრების საკითხები. დანარჩენი მეტ-ნაკლებად მოგვარებადია, მაგრამ, სავარაუდოდ, ეს ორი საკითხი იქნება ის, სადაც უნდა მოხერხდეს პოზიციების დაახლოება. რა ვარიანტებს შესთავაზებენ, ამას უახლოეს დღეებში ვიხილავთ.

– გაქვთ მოლოდინი, რომ პოლიტიკური კრიზისი დასასრულისკენ წავა?

– სავარაუდოდ – კი, იმიტომ, რომ ეს ხომ არ არის მხოლოდ ჩვენი მოლაპარაკებები. ეს ევროკავშირმა თავის თავზე აიღო. აქედან რომ არაფერი გამოვიდეს, ევროკავშირის იმიჯი, ცოტა არ იყოს, შეილახება. ამიტომ, არა მგონია, ასე მოხდეს. პოლიტიკური კრიზისის გაგრძელება არც ჩვენს ინტერესებშია და არც ევროკავშირის. თუ ვინმე ჩაშლის ამ პროცესს, მას, ხომ წარმოგიდგენიათ, როგორი იმიჯი ექნება საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში და ქვეყნის შიგნითაც! ფაქტობრივად, ეს იქნება სასამართლოსავით იმ თვალსაზრისით, რომ თუ რომელიმე მხარემ არაკონსტრუქციულობა გამოიჩინა, აუცილებლად მიადგება მას რეპუტაციული ზიანი.

– რამდენიმე წლის წინ ივანიშვილმა გვითხრა, ისეთ დემოკრატიას შევქმნი, ევროპას გავაოცებო. დემოკრატიის რა გითხრათ, მაგრამ ახლა ხომ არ არის ის მომენტი, როდესაც ევროპა მართლა გავაოცეთ?

– გაოცებით – კი, ვინაიდან ქვეყანას, რომელსაც აქვს პრეტენზია, რომ ევროკავშირში გაწევრიანებაზე განაცხადი უნდა გააკეთოს 2024 წელს, რეალურად ვერ ატარებს ნორმალურ არჩევნებს და პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები საერთაშორისო შუამავლების გარეშე საერთო ეროვნულ საკითხებზე მოლაპარაკებას ვერ ახერხებენ. არის კიდევ სხვა საკითხები, სოციალურ-ეკონომიკური და ა.შ. ეს ყველაფერი საქართველოს იმიჯზე ცუდად მოქმედებს. ეს წყალს ასხამს იმ სკეპტიკოსების წისქვილზე, რომლებიც მრავლად არიან როგორც ევროკავშირში, ისე ნატოში. როცა ქვეყნის პოლიტიკური ელიტა ვერ ახერხებს პარტნიორების ჩარევის გარეშე საკუთარი უთანხმოების მოგვარებას, ეს არ ჩანს კარგად. ერთხელ და ორჯერ შეიძლება ჩაერიოს ევროკავშირი, მაგრამ მუდმივად არავინ ჩაერევა. პატარა ბავშვი რომ დადგება და ტირის, მას ერთხელ შეიძლება დაუყვავოს, მეორედაც, მაგრამ მუდმივად ამას არავინ გააკეთებს.

– ეს შთაბეჭდილება მიშელის ვიზიტის დროსაც დამრჩა. სანამ აქ იყო, მხარეებიც კონსტრუქციულად საუბრობდნენ, წავიდა და მანამდე არსებული რიტორიკა ისევ გაჩნდა. მასწავლებელი რომ გავა კლასიდან და ბავშვები ახმაურდებიან, ასეთი შთაბეჭდილება ხომ არ შეიქმნა?

– კი, ზუსტად ასეა. აქ კონსოლიდაციაზე აღარ არის ლაპარაკი. აქ საუბარია იმაზე, რომ ქვეყნის პოლიტიკური პარტიები უნდა ახერხებდნენ რაღაც ჩარჩოს გამოძებნას, იმიტომ, რომ ხშირ შემთხვევაში პრობლემას პოლიტიკოსები ქმნიან და ეს პრობლემა პოლიტიკოსებმა უნდა მოაგვარონ. თუ გენოციდი მოაწყვეს და რაღაც მსგავსი პროცესია, მაშინ ჭირს ხოლმე საერთო ენის გამონახვა, მაგრამ აქ ასეთი რამე არ მომხდარა. პოლარიზაცია ბევრგან არის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გამოსავალი თავად პოლიტიკოსებმა ვერ იპოვონ. თავად პოლიტიკოსებმა უნდა შექმნან ჩარჩო, სადაც იქნება მოლაპარაკებები და თავადვე გადაწყვეტენ ამ პრობლემას. ასეთი რაღაცა რომ მოხდეს, ამით დამტკიცდება, რომ ქვეყანა შემდგარია, მეტ-ნაკლებად სტაბილური სისტემა აქვს და პოლიტიკოსები მომწიფებული არიან. ევროპას უნდა, რომ ნახოს, ოპოზიცია და პოზიცია საერთო ეროვნული იდეის გარშემოა გაერთიანებული. უნდა ნახოს, რომ ისინი ქვეყნის განვითარებასა და სტაბილურობას უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, ვიდრე ერთპიროვნულად ხელისუფლებაში მოსვლას, რაც დღეს გვაქვს. ორივე მხარე კი ცდილობს, არაფერი დათმოს.

ვამბობდით, რომ ერთპარტიული სისტემა ცუდია ქვეყნისთვის, მაგრამ რეალურად ოპოზიციაც ამისკენ მიილტვის, რომ განდევნოს „ქართული ოცნება“. გვახსოვს, თავის დროზე „ოცნებამ“ ნაცმოძრაობის მარგინალიზაცია მოახდინა, ნაცმოძრაობამ – შევარდნაძის, შევარდნაძემ – გამსახურდიასი და ა.შ. ეს პოლიტიკა მცდარია. განსხვავებების მიუხედავად, კონსენსუსისკენ მიდრეკილი პოლიტიკის წარმოება ვისწავლოთ. შეიძლება, არც ერთ პარტიას არ ჰქონდეს საკმარისი მანდატები, მაგრამ მათ უნდა შეძლონ ერთად დასხდომა და პორტფელების განაწილება. რაც მთავარია, ჩვენი პოლიტიკოსების მხრიდან ამის სურვილიც არ ჩანს. ოპოზიციამ რომ მოიგოს არჩევნები და „ოცნებამ“ მიიღოს იგივე პროცენტი, მაინც ხომ მოუწევთ რაღაც საკითხებზე შეთანხმება. ნეგატიურ კამპანიაზე აგებული პოლიტიკა ჯერ კიდევ პოპულარულია საქართველოში და ამას ხელს უწყობენ თავად პოლიტიკოსებიც და მასმედიაც.

– ღარიბაშვილი ვიზიტი დაიწყო ბრიუსელში ისე, რომ არ არის შეთანხმება ხელისუფლება-ოპოზიციას შორის. თქვენი აზრით, რა გზავნილებით ჩავიდოდა პრემიერი ბრიუსელში?

– სავარაუდოდ, ყველაზე მთავარი ის არის, რომ ის ჩასულია იმ ფორმატში, როდესაც ძირითადად საქართველო-ევროკავშირის ბოლო დროინდელ საკითხებზე საუბრობენ, რა პროგრესია ასოცირების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და ერთ-ერთი, რა თქმა უნდა, დემოკრატიის საკითხი იქნება, სადაც ჩანიშნულია შეხვედრა მხარეებს შორისაც. მთავარია, საქართველომ არ გაიფუჭოს იმიჯი, როგორც მოწინავე ქვეყანამ აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში. თუ ეს მოლაპარაკება შედგა, მაშინ ეს რისკი მცირდება, ხოლო თუ ვერ შედგა და მთავრობას არაკონსტრუქციულობა დაჰბრალდა, მაშინ ამ იმიჯსაც გარკვეული საფრთხე ექმნება. ასე რომ, ხელისუფლებამ ორმაგად უნდა მოინდომოს და მასაც მოუწევს დათმობა, ისევე, როგორც ოპოზიციას.

„ოცნება ნაჭუჭშია ჩაკეტილი“

ჯონდი ბაღათურია: „კრიზისიდან გამოსვლის ერთადერთი გზა ვადამდელი არჩევნებია“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი წევრი, „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია პასუხობს.

– ბატონო ჯონდი, ბოლო დროს შექმნილი პოლიტიკური კრიზისის განმუხტვის მიზნით ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მოლაპარაკებაში ევროპის მაღალი რანგის წარმომადგენლები ჩაერთვნენ. როგორ აფასებთ ამ პროცესს და რას ელოდებით ამ მოლაპარაკებისაგან?

– ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ჩვენ ამ ფორმატის მოლაპარაკებაში არ ვმონაწილეობთ, ისაა, რომ ჩვენთვის პრინციპულად მიუღებელია ნაცმოძრაობასთან ერთად რაიმე ტიპის პოლიტიკურ პროცესში მონაწილეობა. მიგვაჩნია, რომ მაგ მაგიდასთან მსხდომნი სახელმწიფო ღალატში არიან შემჩნეულნი. ამიტომ ჩვენთვის ნაცმოძრაობასთან ერთად არანაირ პროცესში მონაწილეობა მისაღები არ არის.

მეორე მხრივ, ნაცმოძრაობის მიმართ საზოგადოების ზიზღი იმდენად მაღალია, აბსოლუტურად არაპროდუქტიულია მორალური კატეგორიიდან გამომდინარე (და მორალსაც თავი რომ დავანებოთ), ნაციონალებთან ერთად რაიმე ტიპის პოლიტიკური პროცესის შექმნა, აქციების გამართვა, რადგან იქ, სადაც ნაცმოძრაობაა, ვერანაირად შეკრებ საზოგადოების იმ რაოდენობას, რომლითაც ხელისუფლებაზე შთაბეჭდილებას მოახდენ. ეს ორი მნიშვნელოვანი მიზეზია, რის გამოც უარი ვთქვით ამ ფორმატში მოლაპარაკებებში მონაწილეობაზე. მეორე წელია ჩანს, რომ ეს სამართლიანი არგუმენტებია.

– ისე, მოლაპარაკებაში მონაწილეობაზე შემოთავაზება გქონდათ?

– რა თქმა უნდა. როცა ფორმატი დგებოდა, ჩვენი კოლეგები დამიკავშირდნენ (რომლებთანაც წარსულში რაღაც პარტნიორობა მაკავშირებდა) და მიმიწვიეს.

– მიწვევა ოპოზიციიდან მიიღეთ თუ პოზიციიდან?

– ოპოზიციიდან. ეს პოზიცია ხომ ცალკე პრობლემაა. ესენი ხომ თვითიზოლაციაში იმყოფებიან, ნაჭუჭში არიან ჩაკეტილი. ნაჭუჭში თვითონ ჩასხდნენ და თანამშრომლობაზე არასდროს არავისთან მოდიან. ისინი თანამშრომლობენ ნაცმოძრაობასა და ბოკერიასთან, მაგრამ, როდესაც ეს ფორმატი იქმნებოდა, ჩემმა კოლეგებმა ოპოზიციიდან მითხრეს, ასეთი მოსაზრებააო და მთხოვეს, მონაწილეობა მიმეღო.

მათ ავუხსენი, რომ ნაციონალებთან ერთად მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომა ჩემთვის სრულიად მიუღებელია. ზოგიერთს ისიც კი ვურჩიე, ნაცმოძრაობას თვითონაც გამიჯვნოდნენ, თორემ საკუთარ ამომრჩეველს აბსოლუტურად დაკარგავდნენ. ასეც მოხდა.

– ის, რომ ევროპა მხარეებს შორის შეთანხმების მიღწევით დაინტერესებულია, ცხადია. ევროპამ, ფაქტობრივად, თავის თავზე აიღო შეთანხმების მიღწევა, წარმომადგენელიც გამოაგზავნა. თქვენ როგორ ფიქრობთ, მოლაპარაკება რა შედეგით დამთავრდება?

– პირველ რიგში, ევროპას ნუ დავაბრალებთ იმას, რომ ნაცმოძრაობა ძალიან უყვარს და მხოლოდ მათ ელაპარაკება. ვისაც დაახვედრებ და ვისაც დაუწერ 27%-ს, იმას დაელაპარაკება. ჩემთვის რომ დაეწერათ ეგ 27% ან ის რომ დაეწერათ, რაც ავიღე, ევროპიდან ჩამოსული ჩინოვნიკები მეც დამელაპარაკებოდნენ. ამიტომ ეს ევროპის ბრალი კი არ არის, არამედ „ქართული ოცნების“ შემოქმედების, „ოცნების“ უპრინციპობის, უსამართლობის, უკანონობის შედეგია. მათ არჩევნები გააყალბეს არა მარტო თავიანთი თავის, არამედ ნაცმოძრაობის სასარგებლოდაც.

– ევროსაბჭოდან მოვლინებული პირის მონაწილეობით დღეში რამდენიმე შეხვედრა იმართება. დღეს არსებული სტატუსკვოდან გამომდინარე, რას ელოდებით?

– არა მგონია, ამ ეტაპზე ამ მისვლა-მოსვლამ და შუამავლობამ რეალური შედეგი გამოიღოს. დღეს ევროპელებისა და ამერიკელების ამოცანაა, არსებული ხელისუფლება შენარჩუნდეს, თუმცა, მაინც ვფიქრობ, რომ რიგგარეშე არჩევნები გარდაუვალია. ეს იქნებოდა კრიზისიდან გამოსვლის, ასევე იმის საშუალება, რომ საქართველოს პარლამენტში არ იჯდეს ისეთი 60 დეპუტატი, რომელიც სახელმწიფო მოღალატეს ტაშს უკრავს და ღიად, პირდაპირ აცხადებს, დავითგარეჯი საქართველოს ტერიტორია არ არისო.

– 60, როგორც თქვენ ამბობთ, გარეჯის გაყიდვაზე ტაშისმკვრელი ჯგუფის მონაწილეობის გარეშე არჩევნების ჩატარება წარმოგიდგენიათ?

– სამართლიანი და კანონიერი არჩევნები თუ ჩატარდებოდა, 10-15 კაცი იქნებოდა. 15 და მეტი მოღალატე საქართველოს პარლამენტში ყოველთვის იჯდა. სირცხვილია პარლამენტში 1/3-ზე მეტი მოღალატის ყოფნა.

– მოლაპარაკების ალტერნატივად რევოლუციას სახავენ. თქვენ როგორ ატყობთ, თუ არ შეთანხმდებიან, მაშინ რევოლუცია მოსალოდნელია?

– რევოლუცია ვერ იქნება ერთი უბრალო და გასაგები მიზეზის გამო – ხალხის ზურგი აქციებს არ აქვს. ნაცმოძრაობის აქციებს ხალხი მხარს არ უჭერს, რადგან მათ საზოგადოების ნდობა არ აქვთ. რევოლუცია ნიშნავს გადატრიალებას, ოღონდ მას უნდა ჰქონდეს ხალხის ზურგი. ხალხის ზურგის გარეშე გადატრიალებები ვერ კეთდება. მაშინ სამხედრო გადატრიალება, პუტჩი უნდა მოხდეს. ეს კი სხვა რამეა. პუტჩი სამოქალაქო დაპირისპირებას გამოიწვევს. ამაზე არც ამერიკელები წავლენ, არც – ევროპელები და არც – რუსები.

– ისე, სამივე აქტორი მონაწილეობს იმ პროცესში, რომელიც ახლა თბილისში მიმდინარეობს?

– სამივე მონაწილეობს და სამივეს უნდა, ყველაფერი ისე დარჩეს, როგორც არის.

– რატომ?

– იმიტომ რომ, ერთი მხრივ. შეერთებულ შტატებსა და კოლექტიურ დასავლეთს ახლა არ აქვს იმის ფუფუნება, არსებულ ხელისუფლებას პრეტენზიები წაუყენოს იმ ვითარებაში, როდესაც ამ ხელისუფლების ალტერნატივა არ არსებობს. ნაცმოძრაობა აშკარად დესტაბილიზაციის ფაქტორია. კრიზისს რუსები უფრო ეფექტიანად გამოიყენებენ, ვიდრე – ამერიკელები. ამიტომ დესტაბილიზაცია არ აწყობს არც ამერიკას და არც – ევროპას. ამ ეტაპზე არც რუსებს აწყობთ საქართველოში დესტაბილიზაცია.

რეგიონს თუ შეხედავთ, საქართველო კოლექტიური დასავლეთის ბოლო ფორპოსტია, რადგან დასავლეთი მთლიანად გააძევეს აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან. სომხეთს ჰყავდა პროდასავლური პრემიერ-მინისტრი და, პრაქტიკულად, ძალაუფლება დაკარგა. აზერბაიჯანი ცდილობდა პროდასავლურ თამაშს და ახლა იქ რუსული ბაზაა, ანუ რუსული ბაზა არა მხოლოდ სომხეთშია, არამედ – აზერბაიჯანშიც.

ნატოს წევრი თურქეთიდან კოლექტიური დასავლეთი საერთოდ გაძევებულია. ასევეა ირანიც. მხოლოდ ერთი, საქართველო დარჩა. საქართველოში დესტაბილიზაცია რომ გამოიწვიონ და საქართველოც დაკარგონ, დასავლეთი შავი ზღვის აუზს დაკარგავს, შავ ზღვაზე ნატოს გემი ვეღარ შემოვა. წარმოგიდგენიათ? ნატოს ნავიც ვეღარ შემოვა.

ამიტომ ახლა საქართველოს ხელისუფლებას კოლექტიური დასავლეთი დიდი სიფრთხილით ეკიდება იმ პირობებში, როდესაც არსებულ ხელისუფლებას ალტერნატივა არ ჰყავს. ხელისუფლებას პროდასავლური ალტერნატივა რომ ჰყავდეს, ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, დასავლეთის მხრიდან უფრო მეტი აქტივობა იქნებოდა მოსალოდნელი.

ახლა მთელი კოლექტიური დასავლეთი ცდილობს, ოპოზიცია როგორმე დაარწმუნოს, რომ პარლამენტში შევიდეს. მე ვაცხადებ, რომ თუ ისინი პარლამენტში შევლენ, საქართველოსთვის ეგ კიდევ უფრო უარესი იქნება.

– უფრო უარესი რატომ იქნება?

გაგრძელება მე-4 გვერდზე

„პოლიტიკური მოლაპარაკებების მიმართ პესიმისტურად ვარ განწყობილი“

სოსო შატბერაშვილი: „ე.წ. გაერთიანებულ ოპოზიციაში გადამწყვეტია სააკაშვილ-კეზერაშვილის კლასტერი თავისი ფინანსებითა და ტელევიზიებით“

მარიამ მჭედლიშვილი

იმოქმედებს თუ არა ვაქცინაციის დაწყება ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობაზე? რატომ არის საქართველოში ჯანდაცვა მიბმული პოლიტიკასთან? რატომ ვერ ხერხდება პოლიტიკური შეთანხმების მიღწევა? რომელი ჯგუფები გამოიკვეთა ოპოზიციაში? რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ „ქართულ ოცნებას“ მოუწევს კოალიციის ჩამოყალიბება ნაციონალურ მოძრაობასთან? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა „მემარცხენე ალიანსის“ თავმჯდომარე სოსო შატბერაშვილს.

– საქართველოში კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ვაქცინაცია დაიწყო. როგორ აისახება ეს ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობაზე? პოლიტიკაზეც იქონიებს გავლენას?

– პოლიტიკაზე არათუ იქონიებს გავლენას, არამედ, ვაქცინაცია საქართველოში გადაჯაჭვულია პოლიტიკასთან. ამას ადასტურებს თენგიზ ცერცვაძის თუნდაც ერთი განცხადება. მან ვაქცინებზე საუბრისას აღნიშნა, რომ რუსეთის ვაქცინა ძალიან კარგიც რომ იყოს, მისი შეძენა პოლიტიკურად მიუღებელია. ეს ხომ სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია, როგორ შეიძლება ასეთი მსჯელობა? ასე, თურქეთი და ირანიც იყვნენ საქართველოს დაუძინებელი ისტორიული მტრები და მათთან შესანიშნავი სავაჭრო ურთიერთობა გვაქვს. გერმანია და საფრანგეთი, საფრანგეთი და ინგლისი ისტორიული მტრები იყვნენ. რუსეთსა და იაპონიას სერიოზული დაპირისპირება აქვთ კურილიის კუნძულების გამო, მაგრამ ხომ თანამშრომლობენ?!

– საქართველოსაც აქვს რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობა.

– დიახ და მით უფრო ალოგიკურია ვაქცინის თემა. თუ სავაჭრო ურთიერთობა გვაქვს, ბარემ, წამლები და ვაქცინაც გვეყიდა! ლექსს არ წავიკითხავ იმის გამო, რომ პუშკინის დაწერილია – ამ აბსურდამდე მივდივართ ჯანდაცვაში. კარგია, რომ ვაქცინაცია დაიწყო. მართალია, ასტრაზენეკას ვაქცინაზე შეკითხვები, ეჭვები გაჩნდა და ისინი არ გაბათილებულა, მაგრამ მალე ფაიზერის ვაქცინაც შემოვა. პირადად მე ნდობით ვეკიდები ჯონსონ ენდ ჯონსონის ფირმის მიერ წარმოებულ ვაქცინას. პირველი ნაბიჯი უკვე გადაიდგა. პაატა იმნაძემ აცრა გაიკეთა. ასე არ მოიქცა ჯანდაცვის მინისტრი. არადა, პირველ რიგში მას ევალება, მისცეს მაგალითი მოსახლეობას. ვაქცინაციას იმედით ვუყურებ. ეს პროცესი რომ სტარტს აიღებს, მოიხსნება კომენდანტის საათი და ეკონომიკური აქტიურობა სრულად აღდგება.

„ბოლოდროინდელ ფარულ ჩანაწერებზე ბევრ ადამიანს ველაპარაკე, მათ შორის, რეგიონებში და ამის გამო ქუჩაში გამოსვლას არავინ აპირებს“

– პოლიტიკურ კრიზისსა და პოლიტიკურ მოლაპარაკებებსაც შევეხოთ.

– მგონი, ერთადერთი პოლიტიკოსი ვარ, რომელიც ამას დიდი იმედით არ უყურებს. ორი დღის წინ ერთ-ერთ ტელევიზიასთან ინტერვიუში ვთქვი, რომ პოლიტიკური მოლაპარაკებების მიმართ პესიმისტურად ვარ განწყობილი.

– ჩვენი რესპონდენტების ნაწილიც ამ აზრზეა.

– მაშინ, ერთ-ერთი იმათგანი ვარ, ვისაც არ სჯერა, რომ ოპოზიცია უარს იტყვის რადიკალიზმზე.

– ოპოზიციის განცხადებები შერბილებულია.

– მას შემდეგ, რაც საქართველოში ორი კვირის წინ ჩამოვიდა ევროპული საბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი და შემდეგ მან გამოაგზავნა თავისი წარმომადგენელი, ბატონი დანიელსონი, ე.წ. გაერთიანებული ოპოზიცია განცხადებებში რბილ და ოპტიმისტურ ნოტზე აეწყო. თუმცა მე ამ ოპოზიციის კონსტრუქციულობისა არ მჯერა.

– ოპოზიცია ერთგვაროვანია?

– ერთგვაროვანი არ არის, მაგრამ ყველა მაინც ერთ კურსს მიჰყვება. ერთად დავაყენებდი სააკაშვილსა და ნაციონალურ მოძრაობას, მეორე მხარეს – დანარჩენ ოპოზიციას. დანარჩენებს (ვინც ბარიერი გადალახა) ძალიანაც უნდათ პარლამენტში შესვლა, რადიკალურ მოთხოვნებზე ხელის აღება, მაგრამ არ გამოსდით.

– რატომ?

– ე.წ. გაერთიანებულ ოპოზიციაში გადამწყვეტია სააკაშვილ-კეზერაშვილის კლასტერი თავისი ტელევიზიებითა და ფინანსებით. სხვები დამოკიდებული არიან სააკაშვილის ფულსა და ტელევიზიებზე. ამიტომ არ ჩამოდიან ჯორიდან. კეზერაშვილი სააკაშვილის ხაზინადარია. სააკაშვილის მიერ საქართველოდან გატანილი შავი ფული მას მიაბარეს. კეზერაშვილის ტელევიზიად ერთი ითვლება. სინამდვილეში, კეზერაშვილს, სააკაშვილსა და ნაციონალურ მოძრაობას ემსახურება 4 არხი. ოპოზიციონერებს, რომლებიც სააკაშვილს ბევრ რამეში არ ეთანხმებიან, შიში აქვთ, რომ დაკარგავენ ამ ტელევიზიებსა და ფინანსებს. კარვებიც ხომ სააკაშვილ-კეზერაშვილის თანხებით გაიშალა. ხომ ნახეთ, რა მოუვიდა გრიგოლ ვაშაძეს, რომელიც პირველი ალაპარაკდა დიალოგის აუცილებლობაზე. ვაშაძე წავიდა პარტიიდან და, ალბათ, პოლიტიკიდანაც. ოპოზიციონერმა დეპუტატმა ლევან იოსელიანმა სწორად თქვა, პროკურატურისა და სასამართლოს რეფორმას არჩევნებს ნუ გადავაყოლებთ, რეფორმა გრძელვადიანია, არჩევნები კი – მოკლევადიანიო. ჩემი აზრით, არჩევნებს ნაციონალური მოძრაობა ისევ წააგებს და ისევ მოითხოვს რიგგარეშე არჩევნებს. გამოდის, რომ ყოველწლიურად უნდა ვატაროთ არჩევნები. გაერთიანებულ ოპოზიციაში არიან პოლიტიკოსები, რომლებიც წარამარა იცვლიან შეხედულებებს.

– თქვით, რომ ნაციონალური მოძრაობა არჩევნებს წააგებს. „ქართულ ოცნებას“ არ შეეცვლებოდა რეიტინგი? სხვა მოვლენებს რომ თავი დავანებოთ, პარტიიდან წავიდნენ ბიძინა ივანიშვილი, გიორგი გახარია.

– ადრეც მითქვამს, რომ სანამ „ქართული ოცნების“ მთავარი კონკურენტი იქნება ნაციონალური მოძრაობა, ახლანდელი მმართველი პარტია არჩევნებს ყოველთვის მოიგებს. „ქართულ ოცნებას“ ყოველთვის ექნება, რა წამოაძახოს სააკაშვილ-კეზერაშვილ-ადეიშვილის ხელისუფლებასა და მათ პარტიას. მათ დიდი ცოდვა დაიდეს კისერზე. ეს მოუნანიებელი ცოდვები წინა ხელისუფლების დამნაშავეებს ბევრჯერ დაუტრიალდებათ. ამ წრიდან რომ გამოვიდეთ, აუცილებელია ჯანსაღი მესამე ძალის შექმნა. ამაზე თავად ბიძინა ივანიშვილსაც უსაუბრია. მას იმედი აქვს, რომ „ქართულ ოცნებას“ ჯანსაღი ძალა ჩაანაცვლებს.

– ითვლება, რომ მომავალი არჩევნების დროს უმრავლესობით ვერავინ მოვა. შესაძლოა, მეორე ადგილი ნაციონალურმა მოძრაობამ აიღოს. მაშინ შეიქმნება კოალიციის აუცილებლობა.

– ნაციონალურ მოძრაობასთან კოალიციის შექმნა იქნება ქვეყნის უფსკრულში გადაშვება. ღმერთმა ნუ ქნას, ვინმემ, მათ შორის, „ქართულმა ოცნებამ“ ნაციონალებთან ჩამოაყალიბოს კოალიცია! ნახეთ, როგორი უთანხმოებაა თვითონ ოპოზიციაში – თაკო ჩარკვიანი ებრძვის ბურჯანაძეს, ბოკერიას, პატრიოტთა ალიანსი – ნაცმოძრაობას, ბურჯანაძესა და ა.შ. ნაციონალები რომ კოალიციურ მთავრობაში მინისტრების თანამდებობებს მოითხოვენ, მაშინ ქაოსი დაიწყება. არ მინდა ქვეყნის დაქცევა. ნაციონალების წინააღმდეგი ვარ. ამ პარტიის ხელისუფლებაში მოსვლა არ მინდა, მაგრამ კოალიციურ ქაოსს მირჩევნია, ისევ მარტო ნაციონალები იყვნენ.

– 23 თებერვალს პარტიის ოფისში დაკავეს ნაცმოძრაობის თავმჯდომარე ნიკა მელია. ხელისუფლების მომხრე ჯგუფები ამტკიცებენ, რომ მაშინ ოფისიდან ამოიღეს ფარული ჩანაწერების დიდი ნაწილი. ისინი იმედოვნებენ, რომ ეს სერიოზულად შეცვლის სიტუაციას.

– ვერაფრით დავიჯერებ, რომ ნაციონალებს ოფისში ჰქონოდათ ფარული ჩანაწერების თუნდაც ნაწილი. ყველა ელოდა, რომ მოსალოდნელი იყო სპეცრაზმის შესვლა პარტიაში და იქ ფარულ ჩანაწერებს ვინ შეინახავდა? ისე, სამეგრელოს ტყეში აღმოჩენილი და შემდეგ ვითომ განადგურებული ჩანაწერების ასლები ნაციონალურ მოძრაობასაც ექნება და „ქართულ ოცნებასაც“.

– მხედველობაში გაქვთ ჩანაწერების გამოქვეყნება ბერა ივანიშვილის, ღარიბაშვილისა და ჩუბინიძის მონაწილეობით?

– დიახ. სააკაშვილს ეგონა, ხალხი გაცოფდება, ქუჩაში გამოვარდება და რევოლუცია მოხდებაო. რევოლუცია კი არა, ხალხს სიცილად არ ეყო ეს ჩანაწერები. იმ დღეებში სამეგრელოში გასვენებაში ვიყავი, ასევე, ვიმყოფებოდი აჭარაში. თბილისელებსაც დაველაპარაკე ამ ჩანაწერებზე. უმრავლესობამ ამ გამოქვეყნებულ საუბრებში ვერაფერი საყურადღებო ვერ დაინახა. ვისაც რაღაც არ მოეწონა, ამის გაპროტესტებას ისიც არ აპირებს. ასე რომ, სააკაშვილს ჩაეშალა კიდევ ერთი რევოლუციური სცენარი. სააკაშვილი ვერ ხვდება, რომ ახლა 2003 კი არა, 2021 წელია. ფარული ჩანაწერების ომი უნდა დამთავრდეს.

„ოცნება“ ვადამდელ არჩევნებს წააგებს“

სოსო ცინცაძე: „ოცნებაში“ მარჯვენამ არ იცის, მარცხენა რას აკეთებს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში ბოლო დღეებში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, ქრისტიან დანიელსონის დარჩენას თქვენ როგორ აფასებთ, რა გზავნილი შეიძლება იყოს ევროკავშირიდან?

– ბოლოს და ბოლოს, ევროკავშირის პრესტიჟი დევს სასწორზე. ისე არ არის, რომ ევროკავშირისთვის სულ ერთი იყოს, როგორ დასრულდება მოლაპარაკებები.

– დანიელსონმა თვითონ მიიღო გადაწყვეტილება დარჩენის შესახებ თუ ბრიუსელმა დაურეკა?

– რა თქმა უნდა, დანიელსონი ბრიუსელის გადაწყვეტილებით დარჩა. ჩათვალეთ, ჰაერში აწეული თვითმფრინავიდან ჩამოვიდა, რაც სიურპრიზი აღმოჩნდა „ქართული ოცნებისთვის“.

დანიელსონის კიდევ ერთი განცხადება, დავრჩები მანამ, სანამ შეთანხმება არ იქნება მიღწეულიო, მორიგი ცივი წყლის გადასხმა იყო ხელისუფლებისთვის.

უმრავლესობის წევრი მათიკაშვილი, როდესაც ჯერ კიდევ სამი დღის წინ დედას იფიცებოდნენ თალაკვაძე და კობახიძე მოლაპარაკების წარმატებით თუ სამართლიან დასრულებაზე, გვიმტკიცებდა, ოპოზიციას არ სურს შეთანხმებაო. „ოცნებაში“ მარჯვენამ არ იცის, მარცხენა რას აკეთებს. ამიტომ გააკეთა მათიკაშვილმა წინმსწრები განცხადება.

– დანიელსონის პრეზიდენტ ზურაბიშვილთან სტუმრობას რით ხსნით? შეიძლება, შეწყალებაზე იყოს საუბარი?

– არ გამოვრიცხავ, რომ შეწყალების მექანიზმი კიდევ ერთხელ იყოს გამოყენებული და ამ თხოვნით მივიდა შვედი დიპლომატი პრეზიდენტთან, მაგრამ მელიას ჯერ მისჯილი არ აქვს. რურუაზე შეიძლება იყო საუბარი კიდეც, თუმცა ევროპელების მოთხოვნით არ შეიწყალებს, „ოცნების“ თანხმობა უნდა იყოს.

რაც შეეხება ნიკა მელიას, თუ ეს იქნება პოლიტიკური გადაწყვეტილება, გამოუშვებენ. ფორმას არ აქვს მნიშვნელობა.

– პრემიერ ღარიბაშვილის ბრიუსელში ვიზიტი დაიწყო. ჩანიშნულია მაღალი დონის შეხვედრები, მათ შორის – ნატოს გენმდივანთან. როგორი იქნება ევროკავშირის ტონი?

– ევროპა მაინც ევროპაა. ჩვენ წინ გვაქვს რუსეთის მაგალითი, როგორი მოზომილია ის რუსეთთან მიმართებითაც კი. ამიტომ მე არ მაქვს მოლოდინი, რომ განსაკუთრებული ტონი იქნება, განსხვავებით ამერიკისგან. ამერიკას მაინც განსხვავებული სტილი და მიდგომა აქვს. პრეზიდენტი ბაიდენი თეთრ სახლში ჯერ კიდევ ერთი თვე არ არის, რაც მივიდა და უკვე რუსეთს სანქციას სანქციაზე უწესებს. ამ დღეებში კიდევ ერთი ახალი სანქცია დაუწესა.

– ვადამდელ არჩევნებზე გადაწყვეტილებას ირაკლი კობახიძე რომ არ იღებს, გასაგებია, მაგრამ ივანიშვილს რამდენად აქვს გარანტია, რომ ევროპისგან თუ არა, ამერიკისგან სანქციაზე შეიძლება იყოს საუბარი?

– დღეს ისეთი ვითარებაა ქვეყანაში, რომ ვინც არ უნდა იყოს ხელისუფლებაში „ოცნების“ ადგილზე, ვადამდელ არჩევნებს ყველა ხელისუფლება წააგებდა. ეს კარგად იცის „ოცნებამ“ და, რასაკვირველია, ეს იცის ივანიშვილმა. ასევე დაუწერელი კანონია მსოფლიო პოლიტოლოგიაში, რომ ყველაფერზე პასუხს ხელისუფლება აგებს. მასზე მოდის მეტი წილი პასუხისმგებლობა, ვიდრე ოპოზიციაზე. ამიტომ ამ მშიერ ქვეყანაში, სადაც უამრავი პრობლემაა, ნებისმიერ ხელისუფლებას გაუჭირდება ვადამდელ არჩევნებზე წასვლა და მოგება, თანაც, ხელისუფლების დაკარგვის შიშს ემატება შურისძიების შიში. არაერთი ასეთი განცხადება ისმის, ვერა და ვერ დასრულდა შურისძიებაზე, სამაგიეროს გადახდაზე საუბარი.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ პოლიტიკაში: მე ვერ გეტყვით, გაყალბდა თუ არა არჩევნები, მაგრამ ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, რა სჯერა მოსახლეობას. პოლიტიკაში უფრო მნიშვნელოვანია არა ის, თუ რა მოხდა, არამედ ის, თუ რა სჯერა ხალხს.

დღეს ბრძოლა იმაზე კი არ მიმდინარეობს, რომ სამართლიანი სასამართლო და კარგი საარჩევნო კოდექსი გვქონდეს. ეს თანმხლებია. ბრძოლაა ხელისუფლებისთვის. ეს იცის ყველამ. ამიტომ მე გამოვრიცხავ, „ქართული ოცნება“ დასთანხმდეს ისეთ არჩევნებზე წასვლას, სადაც მათ გარანტირებული არ ექნებათ გამარჯვება. ასეთ არჩევნებზე კი ოპოზიცია, ცხადია, არ წავა.

„ოცნება ნაჭუჭშია ჩაკეტილი“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

– ერთი იმიტომ, რომ ქვეყანა დაპაუზდება. ნაციონალები ტექნიკის თვალსაზრისით აჯობებენ ამ ჰარვარდდამთავრებულ, დავარცხნილ პოლიტიკოსებს „ქართული ოცნებიდან“, რომლებიც ნორმალურ ვითარებაში, შეიძლება, ძალიან კარგებიც კი ყოფილიყვნენ. არსებულ არასტაბილურ და არაორდინარულ ვითარებაში ნაციონალების პარლამენტში შესვლა ქვეყნის მდგომარეობას კიდევ უფრო გაართულებს.

სირცხვილია პარლამენტში ამდენი სახელმწიფო მოღალატის ყოფნა. 150-დან 60 ისეთი დეპუტატი იჯდება პარლამენტში, რომელიც აცხადებს, რომ გარეჯი საქართველოს ტერიტორია არ არის. ეს ორი საკმარისი მიზეზია იმისათვის, რომ არ გვინდოდეს მათი პარლამენტში შესვლა. მათი საქართველოს პარლამენტში შეპატიჟება ანტისახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებაა. ამას ახალი, ობიექტური, სამართლიანი არჩევნების ჩატარება სჯობია, სადაც ყველა იმდენ პროცენტს მიიღებს, რამდენიც ეკუთვნის და ქვეყანას განვითარების საშუალება ექნება.

კიდევ ერთი ასეთი ინციდენტი: ბიძინა ივანიშვილს ჩაუშალა კიდევ ერთი ასეთი ინციდენტი. ეს ინციდენტი ეხება ბ-ნ ბიძინა ივანიშვილს

ნოდარ მელაძემ სახელმწიფო დაცვაზე უარი თქვა

„დაცვის მიზანი ჩემი კონტროლი იქნება“

ნოდარ მელაძე და მაკა ჩიხლაძე მათი შესაძლო ლიკვიდაციის საქმის ფარგლებში მაგისტრი მოსამართლის წინაშე დაკითხვას ითხოვენ.

ჟურნალისტები გუშინ, 15 მარტს, იმყოფებოდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროში, სადაც გამოკითხვაზე იყვნენ დაბარებული.

ისინი ამბობენ, რომ მათი შესაძლო ლიკვიდაციის საქმეზე დაწყებული გამოძიება ფორმალური ხასიათისაა.

ნოდარ მელაძის თქმით, ამ საქმესთან დაკავშირებით უწყებას ერთადერთი მტკიცებულება, ლევან მამალაძის განცხადება, აქვს.

– ჩემი პოზიციაა, რომ ასეთ საქმეებზე მოხდეს გამოკითხვა მაგისტრ მოსამართლესთან... მამალაძის ინტერვიუდან გამომდინარე, შემოგვთავაზეს სახელმწიფო დაცვის სამსახური, რაზეც უარი ვთქვით. ამის მიზანია ჩვენი, გამომძიებელი ჟურნალისტების კონტროლი, – ამბობს ნოდარ მელაძე.

ნოდარ მელაძე მისი და მისი ოჯახის წევრების მისამართით ახალ მუქარებზეც საუბრობს და ამბობს, რომ საჯარო სივრცეში ბერა ივანიშვილის გარემოცვის მხრიდან, ბოლო ერთი კვირის განმავლობაში მუქარის შემცველი შეტყობინებები ვრცელდება, რაც ასევე გამოძიების დაწყების საფუძველია, თუმცა ის ამ დრომდე არ დაწყებულა.

– გამოძიება არ დაწყებულა, გამომძიებელმა მკითხა, ეს იყო ჩემთვის მუქარა თუ შეურაცხყოფა, როდესაც აქ იყო კონკრეტულად მუქარა და ჩემს განწყობას ელოდებოდნენ.. ბატონი წიკლაურის საჯარო განცხადება მყისიერი საფრთხეა ჩემთვის და ჩემი ოჯახის წევრებისთვის და გამომძიებელი ჟურნალისტებისთვის.

ჩვენ გარეშეც შეეძლოთ ეს გაეკეთებინათ, მაგრამ გომელაური ივანიშვილის პირადი დაცვაა და მას გააჩნია პირადი კონტაქტი ბატონ წიკლაურთან, რადგან ის ბერას პირადი მცველია, ყველაფერს თავისი სახელი მარტივად ერქმევა, – ამბობს მელაძე.

ნოდარ მელაძე საგამოძიებო უწყებაში დღესაცაა დაბარებული.

16 მარტს ის აუდიოჩანაწერების საქმეზე უნდა გამოკითხოს.

671.153 ლარის მითვისებისთვის სასამართლომ 5 პირი დამნაშავედ ცნო

პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, სასამართლომ ტრანსნაციონალურ დანაშაულში ბრალდებული ხუთი პირი დამნაშავედ ცნო.

ბრალდებულებიდან ორს სასჯელად 10-10-წლიანი, ორს 7-7– წლიანი, ერთს 8-წლიანი პატიმრობა განესაზღვრა:

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულიად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და რეზიდენტი საბანკო დაწესებულებების და არარეზიდენტი ფიზიკური პირების კუთვნილი დიდი ოდენობით თანხების თაღლითურად დაუფლების და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე, საქართველოს მოქალაქეები – გ.კ., კ.ა., ლ.გ., ვ.ნ. და შ.ი. დამნაშავედ ცნო.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ საქართველოში მოქმედი სასტუმროების ხელმძღვანელობითი და მმართველობითი უფლებამოსილების მქონე პირები, სხვადასხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირების კუთვნილი ფულადი თანხების თაღლითურად დაუფლების მიზნით, დანაშაულებრივ გარიგებაში შევიდნენ ბრალდებულებთან გ.კ. და კ.ა.-სთან და დანაშაულებრივი ჯგუფის საზღვარგარეთ მყოფ სხვა წევრებთან.

დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების მიერ წინასწარ შემუშავებული გეგმის შესაბამისად, ლ.გ-მ, ვ.ნ-მ, შ.ი-მ მათივე მფლობელობაში და გამგებლობაში არსებული კომპანიების სახელზე, რომლებიც სასტუმრო მომსახურებას ეწეოდნენ, საქართველოში მოქმედ საბანკო დაწესებულებებში გახსნეს საბანკო ანგარიშები და პოსტერმინალისა და „ჯეო ფეის“ საგადახდო სისტემის მომხმარებლებად დარეგისტრირდნენ.

აღნიშნულით, მათ მიეცათ შესაძლებლობა პოს ტერმინალში და „ჯეო ფეის“ გადახდის სისტემაში, სხვადასხვა უცხო ქვეყნის მოქალაქე ფიზიკური პირების საბანკო ბარათების მონაცემების შეყვანის გზით, ბარათებიდან ჩამოეჭრათ თანხა და გადაეტანათ მათთვის სასურველ საბანკო ანგარიშებზე.

მსჯავრდებულები მათ მფლობელობაში არსებული სასტუმროების ნომრებს არარსებული მომხმარებლების სახელით ჯავშნიდნენ სასტუმროს ნომრების დისტანციურად დაჯავშნის სერვისის მომწოდებელი პოპულარული ვებგვერდების მეშვეობით. დაჯავშნილი ნომრების მათ მიერვე ხელოვნურად გაზრდილი ღირებულების გადახდისას, მსჯავრდებულებს, პოს ტერმინალში და „ჯეო ფეის“ საგადახდო სისტემაში შეჰყავდათ სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეების უკანონოდ მოპოვებული საბანკო ბარათების მონაცემები, რა გზითაც ბარათებიდან ჩამოჭრილ დიდი ოდენობით თანხებს წინასწარ შეთანხმებული პროცენტულობის შესაბამისად ინაწილებდნენ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები.

ზემოაღნიშნული ქმედებით, საქართველოში მოქმედ საბანკო დაწესებულებებსა და ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეებს 671.153 ლარის ოდენობის ზიანი მიადგათ.

გ.კ-მ და კ.ა-მ დანაშაულებრივად დაუფლებული თანხების ნაწილი, მათი ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროს, ადგილმდებარეობის, განთავსების, მოძრაობის, მათზე საკუთრების უფლების დამალვისა და შენიღბვის მიზნით დაანაწევრეს და 2018 წლის 17 ივნისიდან 2018 წლის 15 დეკემბრამდე პერიოდში, მათივე სარგებლის გამოკლებით, სწრაფი ფულადი გზავნილების სახით რუსეთის ფედერაციაში გაუგზავნეს დანაშაულებრივი ჯგუფის სხვა წევრებს, რითაც მოახდინეს 64.472 ლარის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია. თბილისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებულები სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში. გ.კ. და კ.ა.-ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრათ 10-10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ლ.გ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, მე-3 ნაწილის „ბ“ და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ვ.ნ-მ, შ.ი.-ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრათ 7-7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მამა-შვილს სომხეთის 3 მოქალაქე მონებად ჰყავდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა, სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის თანამშრომლებთან ერთად ჩატარებული საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტი გამოავლინეს. სამი პირის მიმართ ჩადენილი ტრეფიკინგის ბრალდებით დაკავებულია მამა-შვილი: 1960 წელს დაბადებული ბ.წ. და 1994 წელს დაბადებული მ.წ.

დანაშაული 12-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები 2015-2016 წლებში სომხეთის რესპუბლიკის სამ მოქალაქეს კარგ სამუშაო პირობებს დაჰპირდნენ, დეხმარნენ მათ საჭირო დოკუმენტაციის შეგროვებაში და საკუთარი ავტომობილით საქართველოში ჩამოიყვანეს.

ბ.წ.-მ და მ.წ.-მ აღნიშნული პირები მიიყვანეს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი სოფლის ახლოს მდებარე საქონლის ფერმაში, სადაც მუქარითა და იძულებით უწევდნენ შრომით ექსპლუატაციას, ჩამოართვეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ანაზღაურების გარეშე, მრავალი წლის განმავლობაში ამყოფებდნენ მონობის თანამედროვე პირობებში.

გარდა ამისა, ბრალდებულები უკანონოდ დატყვევებულ ადამიანებს თავისუფლად გადაადგილებას უზღუდავდნენ და მუდმივად აკონტროლებდნენ, როგორც პირადად, ასევე, საცხოვრებელ სახლსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე დამონტაჟებული სათვალთვალო ვიდეოკამერების საშუალებით.

სამართალდამცველებისთვის აღნიშნული დანაშაულის შესახებ მაშინ გახდა ცნობილი, როდესაც სომხეთის ერთ-ერთმა მოქალაქემ ფერმიდან გაქცევა მოახერხა და საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთას შეეცადა სომხეთის რესპუბლიკის მიმართულებით, როდესაც იგი სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა შეაჩერეს. სამი პირის მიმართ ჯგუფურად ჩადენილ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე პრიმა მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს.

კასპში ნოდარ ღუნაშვილის მკვლელობისთვის ზ.კ. დააკავეს

პოლიციამ კასპში 33 წლის ნოდარ ღუნაშვილის მკვლელობისთვის 1 პირი დააკავა. ამის შესახებ შსს-ს განცხადებაშია ნათქვამი:

„შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1991 წელს დაბადებული ზ.კ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით, კასპში დააკავეს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მამაკაცმა 1987 წელს დაბადებულ ნ.ღ.-ს, ანგარიშსწორების მიზნით, ცივი იარაღით სხეულზე ჭრილობები მიაყენა, რის შედეგადაც იგი ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ზ.კ. მომხდარიდან მალევე, ცხელ კვალზე დააკავეს. ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, ნივთმტკიცების სახით ამოღებულია დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს“.

შსს-ს სანაპირო დაცვა საქართველოს ტერიტორიულ წყლებში ნატოს ხომალდებს მასპინძლობს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვა საქართველოს ტერიტორიულ წყლებში ნატოს მუდმივმოქმედ მეორე საზღვაო შენაერთს (SNMG2) მასპინძლობს. შენაერთის შემადგენლობაშია: საფლაგმანი ხომალდი „CRISTOBAL COLON“ (ესპანეთი), „REGINA MARIA“ (რუმინეთი), „KEMALREIS“ (თურქეთი) და „SMELI“ (ბულგარეთი). შენაერთს კონტრადმირალი მანუელ აგირე ალდერეგია ხელმძღვანელობს.

საპორტო ვიზიტი მიზნად ისახავს საქართველოსა და ალიანსის წევრი და პარტნიორი ქვეყნების საზღვაო ძალებს შორის ურთიერთთავსებადობის ამაღლებას.

კორონავირუსის პანდემიის ფონზე, ნატო-ს მუდმივმოქმედი მეორე საზღვაო შენაერთის ვიზიტი საქართველოში ჩვენი ქვეყნისადმი მხარდაჭერის მკაფიო გზავნილია. მნიშვნელოვანია, რომ ნატოს საზღვაო შენაერთის ვიზიტები საქართველოს შავი ზღვის პორტებში რეგულარულ ხასიათს ატარებს, რაც შავი ზღვის უსაფრთხოების განმტკიცების კუთხით ნატო-საქართველოს თანამშრომლობის ერთ-ერთი ხელშესახები შედეგია.

შენაერთის ვიზიტი საქართველოში დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციების სრული დაცვით ხორციელდება. COVID-19-ის შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, შეხვედრები გაიმართება დისტანციურად, დაგეგმილი ერთობლივი წვრთნები კი მხოლოდ ხომალდების მანევრებს ითვალისწინებს ეკიპაჟების ურთიერთქმედების გარეშე.

ნატოს ხომალდები საქართველოს ტერიტორიულ წყლებს 18 მარტს, შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვასთან ერთად დაგეგმილი წვრთნების დასრულების შემდგომ დატოვებენ.

თბილისში შაურმით 9 ადამიანი მოიწამლა

გუშინ, 15 მარტს, თბილისში, სამტრედიის ქუჩაზე მდებარე კვების ობიექტში, 9 ადამიანი შაურმით მოიწამლა. მათგან 2 არასრულწლოვანია. ისინი ბოჭორიშვილის კლინიკაში გადაიყვანეს.

მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

კვების ობიექტში სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები იმყოფებოდნენ, რომლებმაც ობიექტი შეამოწმეს.

შს მინისტრის მოადგილედ ალექსანდრე დარახველიძე დაინიშნა

შინაგან საქმეთა მინისტრ ვახტანგ გომელაურს ახალი მოადგილე ჰყავს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებით, აღნიშნულ თანამდებობაზე ალექსანდრე დარახველიძე დაინიშნა, რომელიც, ამავდროულად, შინაგან საქმეთა სამინისტროს საპარლამენტო მდივანი იქნება.

„ალექსანდრე დარახველიძე სამართალმცოდნეობის მაგისტრია. მას 2019 წლიდან ამ დრომდე შინაგან საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის დირექტორის პოზიცია ეკავა. 2018-2019 წლებში დარახველიძე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე იყო. 2018 წელს მას სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მოადგილის თანამდებობა ეკავა, მანამდე კი ამავე სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი იყო.

2009-2012 წლებში დარახველიძე საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში სხვადასხვა პოზიციაზე მუშაობდა.

ალექსანდრე დარახველიძე რამდენიმე უნივერსიტეტში ეწევა აკადემიურ საქმიანობას, არის კავკასიის უნივერსიტეტის და ევროპის უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი“, – აღნიშნავენ უწყებაში.

კასტექსი: „საფრანგეთში ინფიცირებულთა რაოდენობა მატულობს, ამიტომ ყველა უნდა ავიცრათ“

საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი ჟან კასტექსი აცხადებს, რომ ქვეყანაში კოვიდსიტუაცია არ უმჯობესდება და ინფიცირებულებისა და ჰოსპიტალიზებული პაციენტების რაოდენობა მატულობს.

– მდგომარეობა არ უმჯობესდება, ინფიცირების უფრო მეტი და მეტი რაოდენობა გვაქვს და საავადმყოფოები პაციენტებით გადატვირთულია. მათი საშუალო ასაკი კი თანდათან მცირდება, – განაცხადა საფრანგეთის პრემიერმა.

მისივე თქმით, ქვეყანაში მესამე ლოქდაუნის დაწესების თავიდან ასაცილებლად ყველაფერი უნდა გააკეთონ.

– ლოქდაუნის თავიდან ასაცილებლად ყველა იარაღი უნდა გამოვიყენოთ. მოდით, ავიცრათ, დავიცავთ თავი, გავიაროთ ტესტირება, – აღნიშნა კასტექსმა.

საფრანგეთის ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ქვეყანაში გასული დღის განმავლობაში კორონავირუსის 26.343 ახალი შემთხვევა გამოვლინდა და 140 ადამიანი გარდაიცვალა.

ამასთან, საფრანგეთში ვაქცინაციის პროგრამის ტემპი იზრდება. ჯანდაცვის უწყების ცნობით, ქვეყანაში ვაქცინის პირველი დოზა 5.128.872 ადამიანს, ანუ მოსახლეობის 7.7%-ს გაუკეთდა, ორივე დოზა კი უკვე 2.239.389 მოქალაქემ მიიღო.

გაერთიანებულ სამეფოში ბაშარ ალ-ასადის მეუღლის მიმართ გამოძიება დაიწყო

გაერთიანებულ სამეფოში სირიის პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის მეუღლის, ასმა ალ-ასადის მიმართ გამოძიება დაიწყო.

ასმა ალ-ასადს ბრალად ტერორიზმის წაქეზება და ხელის შეწყობა ედება. ახლა ლონდონის პოლიციამ უნდა დაადგინოს, გაგრძელდება თუ არა გამოძიება უფრო მაღალ დონეზე.

აღსანიშნავია, რომ ასმა ასადი ლონდონში დაიბადა და მას დიდი ბრიტანეთისა და სირიის ორმაგი მოქალაქეობა აქვს.

ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, მას სამეფოს მოქალაქეობას ჩამოართმევენ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით. მხოლოდ მოსახსნელი საღეჭი პროთეზები იტალიური, რუსული კბილებით. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● 45-წლიანი გამოცდილებითა და შედეგების სრული გარანტიით გთავაზობთ შემდეგ მომსახურებას – ფოტოსურათით მოგიხსნით: ჯადოთვალი-წყევლის ზემოქმედებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებას, დეპრესიას, შებოჭილობას, ეჭვიანობას, მოზარდებში პრობლემებს, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, ძილში შფოთს, გაუმართლებლობას, ოჯახურ გაუგებრობას, ოჯახის შესაქმნელად გაგიხსნით ბედს, ჩაკეტილ მამაკაცობას, სექსუალური კონტაქტის შიშსა და სხვა პრობლემებს. მის.: წერეთლის გამზირი №57. ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი-პარაფსიქოლოგი ნანა ქიბრონაშვილი. ტელ: 599-49-84-23.

მამაკაცმა უნიტაზში ცოცხალი კობრა აღმოაჩინა

კამბოჯის პროვინცია პაილინში მამაკაცმა საკუთარი სახლის უნიტაზში ცოცხალი კობრა აღმოაჩინა.

რეი სოფა მაშინვე ვერ მიხვდა, რომ უნიტაზში შხამიანი გველი იმყოფებოდა. თავდაპირველად მან იფიქრა, რომ ვიღაცას წყლის ჩარეცხვა დაავიწყდა. მან ღილაკს თითი დააჭირა ჩარეცხვა ცადა, თუმცა გველი ადგილზე დარჩა.

ამის შემდეგ რეი მიხვდა, რომ უნიტაზში კობრა იმყოფებოდა და კიდევ ერთხელ შეეცადა მის ჩარეცხვას, თუმცა – უშედეგოდ. ამის შემდეგ ის ნათესავებთან მივიდა, რათა მათთან ერთად ეცადა ქვენარმავლის დაჭერა.

სანამ სოფა გასული იყო, კობრა მიიმალა. ამის შემდეგ მამაკაცმა უნიტაზს თავი დაახურა და მას აღარ იყენებს.

– მთელი გასული კვირა სახლის სხვა ტუალეტში დავდიოდით, – ყვება მამაკაცი, – ამ ტუალეტით კი მანამდე არ ვისარგებლებთ, სანამ არ დავრწმუნდებით, რომ გველი აღარ დაბრუნდება.

სახენაიარევმა ლეოპარდმა შავი პანტერა გააქცია

ინდოეთის კარნატაკას შტატში მდებარე კაბანის ნაკრძალში ლეოპარდმა, სახელად სახენაიარევმა, ხის ტოტებზე ორთაბრძოლა გაუმართა შავ პანტერას, სახელად საიას. ამის ამსახველი ვიდეო სოციალურ ქსელ ტვიტერში გამოქვეყნდა.

სოციალურ ქსელში ვიჯაუ პრაბხუს მიერ გადაღებული ვიდეორგოლი, რომელზეც ასახულია, თუ როგორ გააგდო ლეოპარდმა შავი პანტერა, ნანდან ნილეკანიმ გამოაქვეყნა. ვიდეოჩანაწერში ჩანს ლეოპარდი, რომელიც ხის ზედა ტოტებზეა მოკალათებული. შავი პანტერა ხეზე მიძვრება და მას უახლოვდება. როდესაც პანტერა მასთან საკმაოდ ახლოს აღმოჩნდა, ლეოპარდი წამოხტა და დაუღრიალა.

ფოტოგრაფ შააზ ჯანგის თქმით, ლეოპარდს სახენაიარევი იმ დიდი იარის გამო შეარქვეს, რომელიც მას სახეზე ამჩნევია. საია კი მარტოხელა პანტერაა, რომელიც ასევე ნაკრძალის ბინადარია.

ინტუიციამ ქალს მილიონი მოაგებინა

ამერიკის მიჩიგანის შტატის დასახლება ნიუ-ჰეივენის მკვიდრმა ლატარიის გათამაშებაში გაიმარჯვა და მილიონი დოლარით გამდიდრდა.

26 წლის რნიშა ვუდსი ხშირად თამაშობს ლატარიას. როდესაც ის ავტოგასამართ სადგურზე ლატარიის ბილეთების შესაძენად მივიდა, ინტუიციამ უკარნახა, რომ ჩვეულებრივზე მეტი ბილეთი შეეძინა.

– რამდენიმე ბილეთი ვიყიდე და ისინი გათამაშების დასრულებისთანავე შევამოწმე. როდესაც ამოსული ხუთი ციფრი დავინახე, საკუთარ თვალებს არ დავუჯერე. შემდეგ კი ავყვირდი: „ჩვენ გავმდიდრდით!“ – განაცხადა ქალმა, რომლის მოგებამ მილიონი დოლარი შეადგინა.

ვუდსი აპირებს მოგებული ფული მთლიანად ოჯახს მოახმაროს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სპორტი

უხვგოლიანი ტური

დინამო (თბ)-საბუჩთალო 4:3

თბილისი. დინამო არენა

1:0 მარუშიჩი (15), 1:1 შ.ნონიკაშვილი (16), 2:1 მარუშიჩი (31), 2:2 შ.ნონიკაშვილი (45), 3:2 გაბედავა (55პ), 4:2 პაპავა (69), 4:3 ი.ტაბატაძე (71)

დინამო: კვასხვაძე, კობოური, მონხილი, ბენიო, სპორსკლედე (იაშვილი 83), ხვადაგიანი, რადინი, მექვაბიშვილი (კუცია 90), გაგნიძე (პაპავა 62), გაბედავა (ქარდავა 62), მარუშიჩი (ახვლედიანი 83)

საბურთალო: მეგრელიშვილი, მალი, ლაცაბიძე, კაკუბავა, შ.ნონიკაშვილი (ამინუ 86), ცნობილაძე, ტერა, შულაია (გოჩოლეიშვილი 86), მანდრიჩენკო (ლ.ნონიკაშვილი 63), გულიაშვილი (ი.ტაბატაძე 62), თ.ტაბატაძე

ეროვნული ლიგის მე-4 ტურის მატჩში დინამო თბილისმა საბურთალოს უმასპინძლა და გიორგი ნემსაძის გუნდმა უხვგოლიან დედაქალაქურ დერბიში 3 ქულის მოპოვება შეძლო.

შეხვედრაში ანგარიში დინამოს სერბმა ლეგიონერმა ზორან მარუშიჩმა თავური დარტყმით გახსნა. პირველ ტაიმში მარუშიჩმა ერთხელაც გაიტანა, მაგრამ საბურთალოს 20 წლის საყრდენმა, შოთა ნონიკაშვილმა, ორივეჯერ უპასუხა და გუნდები შესვენებაზე თანაბრად გავიდნენ.

მეორე ნახევარში ტაბლოზე ანგარიში გიორგი გაბედავას ზუსტად შესრულებული პენალტის შემდეგ შეიცვალა. შეცვლაზე შესულმა გიორგი პაპავამ კი შორიდან ძლიერი დარტყმით საბურთალოს კარი აიღო და სხვაობა ორამდე გაზარდა – 4:2.

საბოლოო ანგარიში პაპავას მსგავსად შეცვლაზე შემოსულმა იური ტაბატაძემ დააფიქსირა – 4:3.

4 ტურის შემდეგ დინამოს 7 ქულა აქვს და მესამე პოზიციაზე იმყოფება, საბურთალოელები კი 5 ქულით მეოთხე ადგილს იკავებენ.

ტორპედო-თელავი 2:2

ქუთაისი. რამაზ შენგელია

0:1 შერგელაშვილი (38), 1:1, 2:1 ზიდანი (48, 67), 2:2 აშორტია (90)

ტორპედო: შოვნაძე, ვ.ტაბატაძე (ინკუმი 46), მირცხულავა, ქაფიანიძე (ჩაკვეტაძე 39), ნადარაია, ტუიჩიბაევი, მამასახლისი, ბუკასი, სალაკუ (შარვაშიძე 46), რეკიში (ძარია 76), ზიდანი (გოგუაძე 90)

თელავი: სანიკიძე, ც.კაპანაძე, ბერიაშვილი, ჯიქია (ინჯგია 71), ფაცაცია, ძოწენიძე (აშორტია 86), შერგელაშვილი, მ.ბაშელეიშვილი, ჯანელიძე, ხაბულიანი (სოსიაშვილი 71), შეყილაძე

ქუთაისის ტორპედომ რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონზე თელავს უმასპინძლა და მატჩი ფრედ – 2:2 დასრულდა. შეხვედრაში დუბლის გატანა შეძლო ტორპედოს პალესტინელმა ლეგიონერმა ფადი ზიდანმა.

მსაჯის მიერ დამატებული დროის მე-2 წუთზე ლაშა შერგელაშვილმა პირველ ტაიმში გატანილ გოლს საგოლე პასი დაუმატა და მის ჩამოწოდებულ კუთხურს იმედა აშორტიას დარტყმა მოჰყვა – 2:2.

სამგურალი-დილა 1:2

ზესტაფონი. დავით აბაშიძე

1:0 ბურჯანაძე (6), 1:1 სილვა (64პ), 1:2 კამარა (80)

სამგურალი: ქვილითაია, ასათიანი (დოლიძე 83), პატარკაციშვილი, ქურდაძე, ბურჯანაძე (კალანდარიშვილი 61), მჭედლიშვილი, გაზდელიანი (ბუხაიძე 83), ფონიავა (დ.კირკიტაძე 70), ლექვთაძე (ვერულიძე 70), კიკაბიძე, ს.კუხიანიძე

დილა: გუგეშაშვილი, ჩიტეიშვილი, ხურცილავა (ეტოუ 66), მაისაშვილი, სანტოსი (სპანდერაშვილი 84), სილვა, ბუღრიძე, ნონდი (მოსიაშვილი 56), გაგნიძე, ბიძინაშვილი, ღუდუშაური (კამარა 56)

სამგურალმა ზესტაფონში გორის დილას უმასპინძლა. იმერლები მატჩს შალვა ბურჯანაძის გოლით იგებდნენ, მაგრამ ვანდერსონ სილვამ 65-ე წუთზე ანგარიში პენალტით გაათანაბრა.

79-ეზე კი დილადან კიდევ ერთმა ლეგიონერმა უსმანე კამარამ გაიტანა, რომელმაც ჩიტეიშვილის ჩაწოდება ზუსტად გამოიყენა.

დილა ამ მოგებით ლიდერ ბათუმის დინამოს გაუთანაბრდა...

სატუნინიო ცხრილი:

1.დინამო (ბთ)	4	3	1	0	5-1	10
2.დილა	4	3	1	0	5-1	10
3.საბურთალო	4	1	2	1	5-4	5
4.დინამო (თბ)	4	2	1	1	8-5	7
5.თელავი	4	1	2	1	5-5	5
6.შუქურა	3	1	1	1	2-2	4
7.ლოკომოტივი	3	1	1	1	3-4	4
8.სამგურალი	4	0	3	1	2-3	3
9.ტორპედო	4	0	2	2	2-5	2
10.სამტრედია	4	0	0	4	0-6	0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

უხუცესი მწერალი სიმონ არველაძე 100 წლის გახდა

ქართველი მწერალი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე სიმონ არველაძე 100 წლის გახდა. პანდემიის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილეს აღნიშვნა ვერ შეძლო, თუმცა იუბილარს გამორჩეული მილოცვა მიუძღვნა:

– საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ, დიდი სიყვარულით მოგესალმებიან ქართული სამწერლო ოჯახის უხუცეს წევრს, სიკეთითა და პატიოსნებით გამორჩეულ მხცოვან შემოქმედს და გილოცავენ დაბადების 100 წლისთავს.

ეს მილოცვა გამორჩეულია სხვათაგან არა მარტო იმიტომ, რომ 100 წლისა შესრულდით, არა მარტო იმიტომ, რომ ამ 100 წლიდან 80-ზე მეტი ქართული მწერლობის უანგარო სამსახურს შეალიეთ, არც იმიტომ, რომ თქვენი სულიერი ფორმირება მეორე მსოფლიო ომის მრისხანე, უსასტიკეს წლებში მოხდა და თქვენც იმ ჯოჯოხეთიდან მოხვედით მწერლობაში. რა თქმა უნდა, ამ გარემოებათა გამოც, მაგრამ უფრო იმიტომ, რომ ამ ათწლეულების განმავლობაში მხოლოდ სიკეთისა და სათნოების უკეთილშობილეს იდეალებს ემსახურებოდით, უფრო იმიტომაც, რომ მხოლოდ სამშობლო, თქვენი საესავი სამშობლო იყო თქვენი არსებობის ანი და ჰოე, ყველაზე დიდი ჭეშმარიტება ამქვეყნად, იმიტომაც, რომ მუდამ გულისფიცარზე გქონდათ ამოტვიფრული დიდი ილია მართლის სამება – მამული, ენა, სარწმუნოება...

თქვენი ლიტერატურული დებიუტი აწ უკვე შორეულ 1940 წელს, მეორე მსოფლიო ომის კვირაძალზე შედგა, როდესაც სავარდო და სამაისო ქალაქის გაზეთ „ინდუსტრიულ ქუთაისში“ გამოაქვეყნეთ პირველი ლექსი. მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები – ლექსები, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, მხატვრული ნარკვევები, სამეცნიერო სტატიები, მონოგრაფიული გამოკვლევები სისტემატურად ქვეყნდება ჩვენს როგორც საალიტერატურო, ისე სამეცნიერო პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

მართლაც რომ ხელხვავიანი, უაღრესად ნაყოფიერი კრიტიკოსი და ლიტერატურისმცოდნე ხართ, რომელიც გატაცებით იკვლევს უახლეს ლიტერატურულ პროცესებს და მათი განვითარების კანონზომიერებებს. თქვენს წიგნებში „რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“, „წარმოსახვა და მხატვრული იდეალი“, „არტურ ლაისტი და საქართველო“, „უკრაინული მოტივები“, „პოეზია და თანამედროვეობა“, „შთაგონება და პოეზია“, „კრიტიკული ნარკვევები“, „შემოქმედებას სიმართლე უყვარს“, „სიახლის გრძნობა“, „გალაკტიონი – ხელოვნებას. ეტიუდები“, „სიყვარულს უშენებია“, „ესეისტური ჩანაწერები“, „ჩვენი ცხოვრების გზა სიზმარია“, „ლირიკა და ესეისტიკა“, „ლირიკული სპეკალი“, „მეგობრობის მარადმწვანე ხე“... რომლებსაც დღესაც არ დაუკარგავთ აქტუალობა, გატაცებით იკვლევდით ქართული კულტურის, კრიტიკის, ესთეტიკისა და ფილოსოფიური აზროვნების პრობლემატიკას. მრავალი საინტერესო წერილი მიუძღვენით ქართული მწერლობის ისეთი დიდოსტატების შემოქმედებას, როგორნიც იყვნენ გალაკტიონ ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, სიმონ ჩიქოვანი, ირაკლი აბაშიძე, გრიგოლ აბაშიძე, იოსებ ნონეშვილი, რევაზ მარგიანი, შოთა ნიშნიანიძე. თვალსაჩინო წვლილი შეიტანეთ გალაკტიონოლოგიაში, გაამდიდრეთ რა იგი ახალი კრიტიკული ეტიუდებით.

თქვენი მონოგრაფიული გამოკვლევების „იდეალი და შემოქმედების თავისუფლება“, „სულის სარკეში“, „შემოქმედება და თავისუფლება“, „აწმყო-ყოფიერების მეტამორფოზები“... პრობლემატიკას შეადგენს შემეცნებისა და შემოქმედების ურთიერთმიმართება, აგრეთვე, თავისუფლების პრობლემა, მხატვრული და ფილოსოფიური შემეცნების სფეროში წარმოსახვის როლისა და მისი გამოვლენის სპეციფიკის საკითხები. საგულისხმოა, რომ ათეული წლების განმავლობაში უმაღლეს სასწავლებელში სტუდენტ ახალგაზრდობას აზიარებდით ფილოსოფიისა და ესთეტიკის საფუძვლებს. 1972 წელს ნაშრომისათვის „შემოქმედების თავისუფლების პრობლემისთვის“ ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატის წოდება მოგენიჭათ, გახდით დოცენტი, 1990 წლიდან კი – პროფესორი.

ამავე დროს ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდით. ქუთაისის მწერალთა კავშირში ხელმძღვანელობდით ჯერ ახალგაზრდა მწერალთა, ხოლო შემდეგ პროზის, კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის სექციებს, იყავით ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-კონსულტანტი, უნივერსიტეტ „გელათის“ აკადემიური საბჭოს წევრი და ლექტორი, გაზეთ „უქიმერიონის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, საზოგადოება „ქუთაისელის“ დარბაზის წევრი.

თქვენი მრავალწლიანი ღვაწლი ჯეროვნად დაფასდა. დაჯილდოებული ხართ დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთი უპირველესი ჯილდოთი ღირსების ორდენით, მონიჭებული გაქვთ ხალხთა მეგობრობის აკაკი წერეთლისა და ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემიები, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკის, ქართული კულტურის ამაგდარის, წლის რჩეული კალმოსნის წოდებები, არჩეული ხართ ქუთაისისა და ვანის საპატიო მოქალაქედ. ვანელებმა ოქროს მედლით აღნიშნეს თქვენი დამსახურება ქვეყნის წინაშე.

კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს ძვირფას კოლეგას, ღირსეულ შემოქმედსა და პიროვნებას, დიდხანს, დიდხანს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას გისურვებთ, მამულის სამსახურში სრულიად დამაშვრალო ერისკაცო, – ნათქვამია საქართველოს მწერალთა კავშირის საიუბილეო მილოცვაში.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სუპერლიგაში ცხრილის ქვედა ნაწილი დაიძაბა

ტიტები-დინამო 61:73
(21:12, 16:26, 13:13, 11:22)

რეგულარული სეზონის დასრულების მოახლოებასთან ერთად, საკალათბურთო სუპერლიგაში დაძაბულობა მატულობს. ცხრილის სათავეზე მეტად ბრძოლა აუტსაიდერთა შორის მიდის, რომლებიც უმთავრესი მიზნისთვის, უმაღლეს ლიგაში დასარჩენად იბრძვიან. გამოკვეთილი ლიდერები არიან რუსთავი და ქუთაისი, დანარჩენ გუნდებს კი ჯერ სუპერლიგაში დარჩენის გარანტია არ აქვთ.

თავად განსაჯეთ: ბოლო ადგილზე მყოფ ტიტებს 9 წაგება აქვს, ხოლო მესამეადგილოსან ბათუმს – 8. შედეგად, თითოეული ქულისთვის დიდი ბრძოლა მიმდინარეობს და ყოველი მატჩის შედეგს ოქროს ფასი აქვს.

ასეთი მნიშვნელობის იყო მატჩი, რომელშიც დინამომ უმნიშვნელოვანესი ქულა აართვა კონკურენტ ტიტებს.

მანუჩარ მარკოიშვილის გაწვრთნილი ტიტები დინამოელებს ქულით უსწრებდა. ორივენი ცხრილის ბოლოში იყვნენ და მოგებული მნიშვნელოვან ბონუსს იღებდა. მატჩი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. თავიდან ტიტები იგებდნენ, რომლებიც პირველ შესვენებაზე 9-ქულიანი (21:12) ლიდერობით გავიდნენ. დინამოელებმა თამაში მალევე დაალაგეს და ლიდერობას დიდ შესვენებამდე დაეპატრონნენ – 38:37.

მესამე პერიოდი ფრედ – 13:13 დასრულდა, რის შემდეგაც ისევ დინამოელთა ჯერი დადგა. მათ სოლიდური გაქცევა განახორციელეს, მეტოქე საიმედოდ ჩამოიტოვეს და გამარჯვებამდე ისე მივიდნენ, მოედანზე ვითარება არ დაძაბულა – 73:61.

მუჰამედ ტაჩის გაწვრთნილ დინამოელებს 17 ქულითა და 9 მოხსნით ალონზო უოკერმა ულიდერა. 14 ქულა, 8 მოხსნა და 5 პასი – ტაილერ უილიამსმა, ხოლო 13 ქულა და 7 მოხსნა მაიკლ ედვარდსმა მიითვალა. ტიტებში 18 ქულითა და 9 მოხსნით ტაილერ ბირტსი გამოირჩა. დავით ლომიძემ – 12, ხოლო ბრენდან აუგბორნსმა 11 ქულა მიითვალა.

ხუთავი-მგზავრები 81:78 (ოტ)
(25:25, 14:16, 23:16, 12:17, 7:4)

ქვემო ქართლში საქმე ღამის დიდ მოულოდნელობამდე მივიდა. ცხრილის სხვადასხვა პოლუსზე მყოფი გუნდების მატჩი ისეთი დაძაბული გამოდგა, ვერავინ იტყოდა, ერთმანეთს 1 და 10 წაგების მქონე ოპონენტები ხვდებიანო. ბუბა ბერიშვილის გაწვრთნილმა მგზავრებმა, რომელიც მთავარი გამთამაშებლის, ოთარ პერტაიას გარეშე თამაშობდა, სუპერლიგის ერთპიროვნულ ლიდერს თანაბარი ბრძოლა გაუმართა და, ცოტაც რომ გამართლებოდა, გაიმარჯვებდა.

ეს მცირედი გამართლება შემდეგში მდგომარეობს: ძირითადი დროის ბოლო წამზე ტროი სტიუარდის ახლო მანძილიდან ნასროლი ორქულიანი რომ ჩავარდნილიყო, მატჩი მგზავრების სასარგებლოდ დასრულდებოდა, მაგრამ ამერიკელი ლეგიონერის ტყორცნა მიზანს ასცდა და თამაში ოვერტაიმში გადავიდა. მეორე უიღბლობა უკვე ოვერტაიმის ბოლო წამზე ჯეიდონ კოჰის სამიანი გახლდა, რომელიც მიზანს ასცდა და საბოლოოდ რუსთაველთა სასარგებლო ანგარიში – 81:78 დაფიქსირდა.

ჯაჯესი-თსუ 86:67
(19:16, 17:15, 21:17, 29:19)

არჩილ ჟღენტის გაწვრთნილმა კაკტუსმა 19 ქულის სხვაობით – 86:67 დაამარცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი და, ერთ დროს გასავარდნ ზონაში მყოფმა, ცხრილში პოზიციები გაიმყარა.

თავის მხრივ, თსუ-მ საქმე გაიუარესა. ლექსო ლაფანაშვილის გაწვრთნილმა გუნდმა ზედიზედ მე-5 მატჩი წააგო, რაც სერიოზულ ჩავარდნაზე მიანიშნებს. უნივერსიტეტელებმა პირველი წრე 7 მოგებითა და 3 მარცხით დაასრულეს, თუმცა მეორე წრის ხუთივე მატჩი წააგეს და, თუ დროზე არ გამოფხიზლდნენ, ფლეი ოფში გასვლა სათუო ექნებათ.

კაკტუსელებმა მეტოქე ბოლო პერიოდის ახალდაწყებულზე გატეხეს. მანამდეც ლიდერობდნენ, მაგრამ ჟღენტის გუნდმა ხელჩასაჭიდი ლიდერობა ვერა და ვერ მოიპოვა. თსუ-ს მოთამაშეები შეტევაში ხეირობდნენ და კაკტუსს შორს არ უშვებდნენ. პირველი პერიოდი 3-ქულიანი სხვაობით დასრულდა, დიდ შესვენებაზე კი კაკტუსი 5 ქულას იგებდა.

მესამე ათწუთეულში თსუ კიდევ უფრო ჩამორჩა, რაც, ერთი მხრივ, კაკტუსელთა ბასრი შეტევებით, მეორე მხრივ კი თსუ-ს სუსტი დაცვის ბრალი იყო. ბოლო პერიოდი კაკტუსელთა 9-ქულიანი ლიდერობით დაიწყო, თუმცა შეხვედრას აზრი მალევე დაეკარგა. კაკტუსელთა შეტევებს თსუ-ს დაცვა ვერ უმკლავდებოდა. განსაკუთრებით გამოსარჩევია სამაი ჰეინსჯონისა და სანდრო სანაძის შედეგიანობა, რომლებმაც თითქმის ყველა პოზიციიდან ჩააგდეს და შეხვედრის დასრულებამდე ხუთიოდე წუთით ადრე ჟღენტის გუნდის ლიდერობამ 20 ქულას გადააბიჯა. თამაშის ბედიც აქ გაირკვა და კაკტუსელები გამარჯვებამდე აუღელვებლად მივიდნენ.

კაკტუსში ყველაზე სარგებლიანი სანდრო სანაძე გახლდათ, რომელიც წინა სეზონში თსუ-ს ღირსებას იცავდა. სანაძემ 21 ქულა მიითვალა, ხოლო 26 ქულით ბომბარდირი ჰეინსჯონსი გახდა, ეი ჯი სამბრის ანგარიშზე კი 13 ქულა და 8 მოხსნა დაგროვდა. თსუ-ში 17 ქულით საუკეთესო იყო რიჩარდ ქალდველი.

სატუხნიო ცხრილი:

1.რუსთავი	14	13	11187-1029	27
2.ქუთაისი	15	11	41370-1251	26
3.ბათუმი	15	7	81284-1330	22
4.თსუ	15	7	81225-1270	22
5.ოლიმპი	14	8	61101 -1110	22
6.ვერა	15	7	81156-1184	22
7.კაკტუსი	15	7	81129-1160	22
8.ცხუმი	14	6	81109-1072	20
9.დინამო	14	5	91189-1233	19
10.მგზავრები	15	4	111151-1210	19
11.ტიტები	14	5	91060-1112	19

ხავი ბარსელონის შეთავაზებას ელოდება

ესპანური მედიის ცნობით, ხავი ზაფხულში ბარსელონის ჩასაბარებლად მზადაა. საქმე ის არის, რომ ხავის ყატარულ კლუბ ალ სადთან კონტრაქტი ივლისში ეწურება. შედეგად, ბარსას ახალ პრეზიდენტ ჟოან ლაპორტასგან შეთავაზების არსებობის შემთხვევაში, ესპანელი მშობლიურ კლუბში დაბრუნდება. იმ შემთხვევაში, თუ რონალდ კუმანი მთავარი მწვრთნელის პოსტზე დარჩა ან ლაპორტამ მის შემცვლელად სხვა კანდიდატურა შეარჩია, ხავი ყატარულ მხარესთან ხელშეკრულებას გაახანგრძლივებს.

შეგახსენებთ, რომ ალ სადში მუშაობის პერიოდში ხავიმ ექვსი ტიტულის მოგება შეძლო.

21 წლის წინ, 15 მარტს, ხავიმ ჩემპიონთა ლიგაზე სადებიუტო გოლი გაიტანა.

შედეგები

14 მარტი

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

საუთჰემპტონი-ბრაიტონი 1:2
ლესტერი-შეფილდი 5:0
არსენალი-ტოტენჰემი 2:1
მანჩესტერი-ვესტ ჰემი 1:0

სატუხნიო ცხრილი:

1.სიტი	30	22	5	3	64-21	71
2.მანჩესტერი	29	16	9	4	56-32	57
3.ლესტერი	29	17	5	7	53-32	56
4.ჩელსი	29	14	9	6	44-25	51
5.ვესტ ჰემი	28	14	6	8	42-32	48
6.ევერტონი	28	14	4	10	40-37	46
7.ტოტენჰემი	28	13	6	9	47-30	45
8.ლივერპული	28	12	7	9	47-36	43
9.ასტონ ვილა	27	12	5	10	39-28	41
10.არსენალი	28	12	5	11	35-28	41
11.კრ.პალასი	29	10	7	12	31-47	37
12.ლიდსი	28	11	3	14	43-46	36
13.ვულვზი	28	9	8	11	28-37	35
14.საუთჰემპტონი	29	9	6	14	36-51	33
15.ბარნლი	29	8	9	12	22-37	33
16.ბრაიტონი	28	6	11	11	29-36	29
17.ნიუკასლი	28	7	7	14	28-45	28
18.ფულემი	29	5	11	13	22-36	26
19.ვესტ ბრომვიჩი	29	3	9	17	20-57	18
20.შეფილდი	29	4	2	23	16-50	14

ინგლისი. ჩემპიონიგა

უენსდი-ნორვიჩი 1:2

გერმანია. ბუნდესლიგა

ლევერკუზენი-არმინია 1:2
ლაიფციგი-აინტრახტი 1:1
შტუტგარტი-ჰოფენჰაიმი 2:0

სატუხნიო ცხრილი:

1.ბაიერნი	25	18	4	3	74-35	58
2.ლაიფციგი	25	16	5	3	47-21	54
3.ვოლფსბურგი	25	13	9	3	43-21	48
4.აინტრახტი	25	11	11	3	48-34	44
5.დორტმუნდი	25	13	3	9	52-35	42
6.ლევერკუზენი	25	11	7	7	43-28	40
7.უნიონი	25	9	11	5	38-27	38
8.შტუტგარტი	25	9	9	7	47-37	36
9.ფრაიბურგი	25	9	7	9	37-39	34
10.გლადბახი	25	8	9	8	41-40	33
11.ჰოფენჰაიმი	25	8	6	11	39-43	30
12.ვერდერი	25	7	9	9	30-36	30
13.აუგსბურგი	25	8	5	12	27-38	29
14.კოლნი	25	5	7	13	23-44	22
15.არმინია	25	6	4	15	20-44	22
16.ჰერტა	25	5	6	14	28-45	21
17.მაინცი	25	5	6	14	24-44	21
18.შალკე	25	1	7	17	16-66	10

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

კარლსრუე-ბრაუნშვაიგი 0:0
ნიურნბერგი-ოსნაბრიუკი 1:1

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

სელტა-ბილბაო 0:0
გრანადა-სოსიედადი 1:0
ეიბარი-ვილიარეალი 1:3
სევილია-ბეტისი 1:0

სატუხნიო ცხრილი:

1.ატლეტიკო	27	19	6	2	50-18	63
2.რეალი	27	17	6	4	46-22	57
3.ბარსელონა	26	17	5	4	57-22	56
4.სევილია	26	16	3	7	36-20	51
5.სოსიედადი	27	12	9	6	43-22	45
6.ბეტისი	27	13	3	11	36-41	42
7.ვილიარეალი	27	9	13	5	37-30	40
8.გრანადა	27	10	6	11	33-44	36
9.ლევანტე	27	8	11	8	36-35	35
10.ბილბაო	27	9	7	11	37-31	34
11.სელტა	27	8	10	9	34-40	34
12.ვალენსია	27	7	9	11	32-37	30
13.ოსასუნა	27	7	8	12	23-35	29
14.კადისი	27	7	8	12	23-42	29
15.ხეტაფე	27	7	7	13	21-32	28
16.ვალიადოლიდი	27	5	11	11	25-37	26
17.ელჩე	26	5	9	12	24-39	24
18.ალავესი	27	5	8	14	23-43	23
19.ეიბარი	27	4	10	13	21-32	22
20.უესკა	26	3	11	12	25-40	20

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ლოგრონიესი-მალაგა 0:1
ხიხონი-მალიორკა 2:0
ტენერიფე-ალბასეტე 2:0
ოვიედო-ლეგანესი 1:3

იტალია. სერია ა

ბოლონია-სამპდორია 3:1
პარმა-რომა 2:0
ტორინო-ინტერი 1:2
კალიარი-იუვენტუსი 1:3
მილანი-ნაპოლი 0:1

სატუხნიო ცხრილი:

1.ინტერი	27	20	5	2	65-26	65
2.მილანი	27	17	5	5	50-31	56
3.იუვენტუსი	26	16	7	3	54-22	55
4.ატალანტა	27	15	7	5	63-34	52
5.ნაპოლი	26	16	2	8	56-29	50
6.რომა	27	15	5	7	51-40	50
7.ლაციო	26	14	4	8	42-37	46
8.სასუოლო	26	10	9	7	43-41	39
9.ვერონა	27	10	8	9	36-32	38
10.უდინეზე	27	8	9	10	30-35	33
11.სამპდორია	27	9	5	13	37-42	32
12.ბოლონია	27	8	7	12	36-42	31
13.ფიორენტინა	27	7	8	12	33-42	29
14.ჯენოა	27	6	10	11	28-39	28
15.სპეცია	27	6	8	13	34-50	26
16.ბენევენტო	27	6	8	13	27-52	26
17.კალიარი	27	5	7	15	30-46	22
18.ტორინო	25	3	11	11	36-47	20
19.პარმა	27	3	10	14	25-52	19
20.კროტონე	27	4	3	20	30-67	15

საფრანგეთი. ლიგა 1

ნიმი-მონპელიე 1:1
დიჟონი-ბორდო 1:3
ლანცი-მეცი 2:2
ლორიანი-ნიცა 1:1
რენი-სტრასბური 1:0
მონაკო-ლილი 0:0
პსჟ-ნანტი 1:2

სატუხნიო ცხრილი:

1.ლილი	29	18	9	2	49-17	63
2.პსჟ	29	19	3	7	63-19	60
3.ლიონი	29	17	9	3	57-26	60
4.მონაკო	29	17	5	7	56-38	56
5.მარსელი	29	12	9	8	38-33	45
6.ლანსი	29	12	9	8	44-41	45
7.მეცი	29	11	9	9	35-29	42
8.რენი	29	11	8	10	34-32	41
9.მონპელიე	29	11	8	10	45-48	41
10.ანჟე	29	11	6	12	33-43	39
11.ბორდო	29	10	6	13	31-35	36
12.ნიცა	29	10	6	13	36-41	36
13.რეიმსი	29	8	11	10	35-36	35
14.ბრესტი	29	10	4	15	43-53	34
15.სტრასბური	29	9	6	14	36-42	33
16.სტ.ეტიენი	29	8	9	12	30-42	33
17.ლორიანი	29	7	7	15	35-53	28
18.ნანტი	29	5	12	12	30-45	27
19.ნიმი	29	7	5	17	28-55	26
20.დიჟონი	29	2	9	19	20-50	15

ნიდერლანდები. ეროვნული დივიზიონი

ვენლო-ფორტუნა 1:3
პსვ-ფეინოორდი 1:1
უტრეხტი-ვიტესი 1:3
ზვოლე-აიაქსი 0:2

პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

მორეირენშე-რიუ ავე 1:1
გიმარაეში-ჟილ ვისენტე 2:4
პორტუ-ფერეირა 2:0

ხესეთი. პრემიერლიგა

უფა-რუბინი 0:3

რუბინის მეორე გოლი ხვიჩა კვარაცხელიამ გაიტანა

ტამბოვი-კრასნოდარი 0:4
ლოკომოტივი-სოჭი 3:1

ავსტრია. ბუნდესლიგა

ვოლფსბერგერი-ტიროლი 3:5
რაპიდი-ჰარტბერგი 4:0
რიდი-ლინცერი 0:3
სტ.პოლენი-ალტახი 0:1
შტურმი-აუსტრია 2:1

თურქეთი. სუპერლიგა

ანკარაგიუჯიუ-გიოზთეფე 3:0
ერზრუმი-ტრაბზონი 0:0
გაზიანთეფი-დენიზლი 2:0
ფენერბახჩე-გენჩლერი 1:2 (0:0)

საბერძნეთი. სუპერლიგა

აპოლონი-პანეთოლიკოსი 1:0
არისი-ოფი 1:0
ასტერასი-იანინა 0:1
ვოლოსი-აეკი 1:0
ლამია-ატრომიტოსი 0:0
ლარისა-ოლიმპიაკოსი 1:3
პანათინაიკოსი-პაოკი 2:1

ჩეხეთი. 1 ლიგა

ბოჰემიანსი 1905-კარვინა 2:0
ბრნო-იაბლონეცი 1:2
ბოლესლავი-სლავია 0:3

შვეიცარია. სუპერლიგა

ვადუცი-ლუგანო 0:3
სტ.გალენი-იანგ ბოიზი 2:2
სიონი-სერვეტი 1:2

პოლონეთი. ექსტრაკლასა

გურნიკი-ზაგლებიე 2:0
ლეხი-პიასტი 0:0

უნგრეთი. 1 ლიგა

მეზეკოვეშდი-ბუდაფოკი 2:1
ფერენცვაროში-პაკში 5:2
პუშკაში-ფეჰერვარი 1:0

უკრაინა. პრემიერლიგა

მარიუპოლი-კოლოსი 1:4
ზორია-დინამო 0:2
შახტარი-დესნა 4:0
ოლექსანდრია-ოლიმპიკი 2:0

დანია. სუპერლიგა

ვეილე-ოლბორგი 0:2
სონდერიისკე-ჰორსენსი 2:0
ოდენსე-ბრონდბიუ 0:3
კოპენჰაგენი-მიდტიულანდი 0:0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. დაუსაბუთებლად, ბრმად მიღებული დებულება; 2. ტაილანდის ძველი სახელწოდება; 3. მდინარე ნიუ იორკში; 4. აფრიკული ანტილოპა; 5. ალასკის ადმინისტრაციული ცენტრი; 6. ბრიტანეთის ნაწილი; 9. დამწერლობის უძველესი სახეობა, საგნებისა და მოვლენების გადმოცემა ნახატების საშუალებით; 10. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 11. საოლქო ცენტრი უკრაინაში; 14. ბრიტანეთის კინოაკადემიის პრიზი; 16. რომან „ელგუჯას“ პერსონაჟი; 18. თირკმლების ანთება; 20. მასობრივი თავყრილობა მწვავე პოლიტიკურ-საყოფაცხოვრებო საკითხებზე; 23. გერმანული ავტომობილი; 24. შურისძიების ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 25. კუნძულოვანი სახელმწიფო კარიბის ზღვაში; 26. რაიონული ცენტრი იმერეთში.

თარაზულად: 7. ავსტრალიის აბორიგენთა სატყორცნი იარაღი; 8. ქართველი ბალეტმეისტერი, სამგზის სტალინური პრემიის ლაურეატი; 12. გადახურული სავაჭრო მოედანი ძველ თბილისში; 13. მკვეხარა, ტრაბახა ადამიანი; 15. ქება-დიდება; 17. მუსიკის, ხმის, სიმღერის ჩანაწერი ფირფიტაზე, ფირზე, დისკზე; 19. იტალიური ავტომობილი; 21. ცნობილი ფრანგი კარიკატურისტი; 22. კოლხეთის მითოლოგიური მეფე; 27. პირი, რომელიც განაგებს გემების დატვირთვა-გადმოტვირთვას ნავსადგურში; 28. ტბების შემსწავლელი მეცნიერი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. იტაიპუ; 2. ზარზმა; 3. იდიში; 5. რელე; 6. ლაქშმი; 8. ორტეგა; 11. ენციკლიკა; 13. თურნავა; 14. სუფიქსი; 15. ფოცხოვი; 19. ნიკე.

თარაზულად: 1. ინკვიზიცია; 4. სუფრული; 7. აგუძერა; 9. შევროლე; 10. ჩექმა; 12. პრესინგი; 16. კაზემირო; 17. იროკეზი; 18. კინგსტონი; 20. კამპუსი; 21. მალა; 22. ოპონენტი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. დორსე; 2. წყალი; 3. ჰოოპუნა; 4. მახა; 5. იაგო; 6. ამსტელი; 9. მარკშეიდერი; 10. ქიმერიონი; 11. ლივერპული; 14. ცეკვა; 16. ტაიჭი; 18. მაესტრო; 20. ლაშქარი; 23. პერო; 24. გორდი; 25. ბლუზი; 26. თუნი.

თარაზულად: 7. ცოლიკაური; 8. ფანატიზმი; 12. გურია; 13. პირეი; 15. ნოკია; 17. კასტელანი; 19. იუდეა; 21. ლეონი; 22. ფლეში; 27. პროკურორი; 28. ფურნიტურა.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

16 მარტი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.3204

ევრო — 3.9609

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.6250

100 რუსული რუბლი — 4.5435

ამინდის პროგნოზი 16 მარტისათვის

2018311219677

16 მარტიდან

ქართული საბავშვო ლექსის ანთოლოგია

წიგნში თავმოყრილია ქართველი პოეტების ცნობილი საბავშვო ლექსები, რომლებიც ძალიან უყვართ პატარებს. აქვე წაიკითხავთ ზოგიერთ „საუფროსო“ ლექსსაც, რომელიც ბავშვებისთვის ისეთივე გასაგები და საყვარელია, როგორც დიდებისთვის – ხალხური პოეზია, ამირანის ეპოსი, „ვეფხისტყაოსანი“ და ა.შ. ამოარჩიეთ თქვენი საყვარელი ლექსი და დატკბით.

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

პოგბა ზაფხულში მანჩესტერიდან წავა

პოლ პოგბა ზაფხულში მანჩესტერ იუნაიტედს დატოვებს. ამის შესახებ განცხადება მისმა აგენტმა მინო რაიოლამ გააკეთა, რომლის თქმითაც, პოგბა ახალი კონტრაქტის გაფორმებას არ აპირებს და სხვა გუნდში გადასვლას გეგმავს, თუმცა გუნდის სახელი მას არ უთქვამს. პოგბას მომავალ კლუბად ბევრი იუვენტუსს ასახელებს, სადაც ის მანჩესტერ იუნაიტედში გადასვლამდე თამაშობდა.

ასევე შესაძლებელია, რომ პოგბა სამშობლოში დაბრუნდეს და პსჟ-ს ფეხბურთელი გახდეს.

აგუერო: „სიტის დატოვებას არ ვაპირებ“

მანჩესტერ სიტის არგენტინელმა ფორვარდმა სერხიო აგუერომ თავის მომავალზე ისაუბრა და თქვა, რომ მანჩესტერ სიტის დატოვებას არ აპირებს და, შესაძლოა, უახლოეს მომავალში ახალ კონტრაქტს მოაწეროს ხელი.

აგუეროს ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია, მაგრამ ამას მალე გააკეთებს:

– მინდა, ყველას ვუთხრა, რომ სიტის დატოვებას არ ვაპირებ და ამ გუნდთან ერთად მსურს ტიტულების მოგება. ჩემი მომავლის შესახებ მალე ყველაფერი ცნობილი გახდება.

ბორუსიამ ჰოლანდს ფასი დაადო

დორტმუნდის ბორუსია ერლინგ ჰოლანდს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეელევა, თუ მისი მსურველი 150 მილიონს გადაიხდის. ბორუსია ამ თანხაზე ნაკლებად ჰოლანდის დათმობას არ აპირებს, რადგან ნორვეგიელი ფორვარდი გუნდის ერთ-ერთი მთავარი ლიდერი და საუკეთესო ბომბარდირია.

გარდა ამისა, ჰოლანდმა თვითონაც განაცხადა, რომ ბორუსიის დატოვებას არ აპირებს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ასტროპროგნოზი

16 მარტისათვის

ვერძი – გონიერებას მოუხმეთ. სანამ რამეს გადაწყვეტთ, სიტუაცია კარგად აწონ-დაწონეთ. ** კურო** – მიზნის მიღწევაში შეუპოვრობა და სიჯიუტე დაგეხმარებათ. უკან ნუ დაიხევთ. **ტყუპები** – ნუ იქნებით მეტისმეტად მიმნდობი. მიამიტობა დღეს ცუდ სამსახურს გაგიწევთ და მოტყუებული დარჩებით. **კირჩხიბი** – დასამახსოვრებელი და ერთ-ერთი გამორჩეული დღეა. თავს ძალიან კარგად გრძნობთ. **ლომი** – მოულოდნელი შეხვედრა ან ახალი ინფორმაცია გეგმების შეცვლის მიზეზი გახდება. შესაძლოა, პარტნიორთან ურთიერთობა დაგეძაბოთ. **ქალწული** – თუ ახალი სამსახური შემოგთავაზეს, უყოყმანოდ დათანხმდით. ფორტუნა გიღიმით. **სასწორი** – მცდარი ინფორმაცია თქვენს გეგმებზე უარყოფით გავლენას მოახდენს. დაუფიქრებლად ნუ იმოქმედებთ. **ღრიანკალი** – ცვლილებები შეიტანეთ ყოფაში, გარეგნობაში. ახალი იმიჯი წარმატების მიღწევაში დაგეხმარებათ. **მშვილდოსანი** – ნებისმიერ სიტუაციაში სიმშვიდე და საღი განსჯის უნარი შეინარჩუნეთ. სპონტანურ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. **თხის რქა** – კეთილისმყოფელი დღეა. ყველაფერში გიმართლებთ. ახალი შემოთავაზებით კმაყოფილი დარჩებით. **მერწყული** – საქმიანი აქტივობა არასასურველია. შესაძლოა, მეგობრების დახმარება დაგჭირდეთ. **თევზები** – დღის დევიზია სიყვარული, სიმშვიდე, სათნოება. თქვენს აზრს გარშემომყოფები ანგარიშს გაუწევენ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

...

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ძვირფასო, მე ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, მაგრამ ახლა მინდა, კიდევ ერთხელ მოვისმინო, გიყვარვარ?

მცირე პაუზის შემდეგ ქმარი ეკითხება:

– რამდენი?

– სულ რაღაც 3600 დოლარი. ნიანგის ნამდვილი ტყავის ხელჩანთაა, ვიცი, მოგეწონება.

– კარგი.

რამდენიმე წუთის შემდეგ ქმარი ცოლს ეუბნება:

– ძვირფასო, გითხარი, რომ მიყვარხარ, რომ შენ ყველაზე ლამაზი, ჭკვიანი და განუმეორებელი ქალი ხარ?

– რამდენი?

– ორი დღე, ძვირფასო, წავალ, წავითევზავებ და დავბრუნდები.

●●●

ბავშვი საოჯახო ალბომს ათვალიერებს და უცბად დედას ეკითხება:

– დედიკო, ვინ არის ეს ლამაზი კაცი შენთან ერთად პლაჟზე?

– მამაშენია!

ბავშვმა თვალი დივანზე წამოწოლილი ჩასუქებული მამისკენ გააპარა და შემდეგ ჩაილაპარაკა:

– აბა ეს ვინღაა?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ნატო გელაშვილი: „მე ვარ ქართველი მართლმადიდებელი და ვამაყობ ამით“

კომპოზიტორი და მომღერალი ნატო გელაშვილი ამაყობს, რომ ქართველი მართლმადიდებელია:

– მე ვარ ქართველი მართლმადიდებელი და ვამაყობ ამით. მიყვარს ჩემი ქვეყანა, ჩემი ხალხი, მისი შავ-თეთრი ფერებით. ახლოს ვხედავ და ვარჩევ სხვა ქვეყნების ფერად ფერებსაც, თუმცა თვალს ვერ მჭრის იმ დონეზე, რომ დამავიწყდეს, ვინ ვარ, საიდან მოვდივარ და რა გზით უნდა ვიარო, რომ ტრადიციების მიმდევარი პიროვნება ვარ, იმ ქართული ტრადიციებისა, რომლებიც ისტორიულად ჩამოყალიბებულია და თაობიდან თაობაზე გადაცემულა თავისი წარმოდგენებით, რიტუალებით, ადათებით, წეს-ჩვეულებებით, ყოფაქცევის ნორმებით.

ვფიქრობ, პიროვნება ტრადიციას კი არ უნდა ინარჩუნებდეს, არამედ ის თავისით უნდა ნარჩუნდებოდეს მასში იმიტომ, რომ კარგია და სასარგებლო. ძალით შენარჩუნებული ტრადიცია დოგმატიზმია, ხოლო დოგმატიზმი – პრიმიტივიზმი. მე ქართველი ვარ, ტრადიციების მიმდევარი და ჩემში გასისხლხორცებულია ეს ყველაფერი. და არ მესმის, რატომ გვრცხვენია ტრადიციულობის ან რატომ გვახსენდება მაშინ, როცა გვჭირდება. მთელი მსოფლიოს ევროპული ქვეყნების ყოფიერებაც და განვითარებაც ხომ იმ ქვეყნების ტრადიციულობაზეა აწყობილი. რატომ გვავიწყდება, რომ სარკეში ჩახედვისას თუ რაიმე არ მოგვწონს, სარკის ბრალი კი არ არის, არამედ მიზეზი „არმოწონებისა“ საკუთარ თავში უნდა ვეძიოთ და არ უნდა ვიბორიალოთ აბსურდების ლაბირინთებში.

გიორგი გასვიანი: „ახალმა თაობებმა ვისგან მიიღონ მაგალითები?“

მსახიობი და ტელეწამყვანი გიორგი გასვიანი მედიას სთხოვს, ერთი ნორმალური ფილმი გადაიღონ ევგენი მიქელაძეზე, მიხეილ ჯავახიშვილზე, სანდრო ახმეტელზე, პაოლო იაშვილზე და ყველა იმ ადამიანზე, რომლებიც საბჭოთა პერიოდის მსხვერპლნი იყვნენ:

– მაშინ ევგენი მიქელაძე, მიხეილ ჯავახიშვილი, სანდრო ახმეტელი, პაოლო იაშვილი საბჭოთა პერიოდის მსხვერპლნი იყვნენ. რეჟიმის, ტოტალიტარიზმისა და ოკუპაციისადმი შეურიგებელნი! დღეს ხომ დამოუკიდებელია ეს ქვეყანა, 30 წელია! მაგრამ მათზე ერთი ნორმალური ფილმის, სერიალის გადაღება, ეპოქის აღწერა ვერ შევძელით.

რას გადმოსცემს მედია 30 წლის განმავლობაში? აქცია-გაჭირვება-დაპირისპირება-აქცია-გაჭირვება-გადადექი! მერე მიდის ჭიდაობა დაულაგებელ დემოკრატიაზე, ამაზე, იმაზე – მილიონი უბედურება ყოველდღე! სად არის გმირი ლეგენდების სახელები? რატომ არ ხდება მათი მხატვრული ან დოკუმენტური პოპულარიზაცია დღევანდელი თავისუფალი გადასახედიდან?

თავისუფალი სახელმწიფო, აბა, როგორ უნდა შედგეს? ახალმა თაობებმა ვისგან მიიღონ მაგალითები? ტიკტოკერებისგან? რას ვერჩი ტიკტოკერებს, მაგრამ სათქმელს მიმიხვდებით, ვიცი.

ნიკოლოზ ცისკარიძემ გიორგი ალექსიძის საღამო გამართა

სანკტ-პეტერბურგის ვაგანოვას სახელობის ცეკვის აკადემიაში ბალეტის ვარსკვლავ ნიკა ცისკარიძის ხელმძღვანელობით დიდი ქართველი ქორეოგრაფის გიორგი ალექსიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა.

გიორგი ალექსიძის ქორეოგრაფიის საღამო წარმოდგენილი იყო ერმიტაჟის თეატრში. გიორგი ალექსიძე, როგორც დამდგმელი ქორეოგრაფი, სხვადასხვა წელს თანამშრომლობდა სანკტ-პეტერბურგის ა.ვაგანოვას სახელობის ცეკვის აკადემიასთან, ხოლო სიცოცხლის ბოლო წლებში აკადემიის საბალეტმაისტერო ფაკულტეტის კათედრას ხელმძღვანელობდა.

ქორეოგრაფისადმი მიძღვნილ საღამოს უძღვებოდა აკადემიის პროფესორი ოლგა როზანოვა. გიორგი ალექსიძე გაიხსენეს აკადემიის რექტორმა ნიკა ცისკარიძემ, საბალეტმაისტერო კათედრის ხელმძღვანელმა იური პეტუხოვმა და კლასიკური და წყვილთა ცეკვის კათედრის დოცენტმა მანსურ ენიკეევმა.

საღამოზე წარმოდგენილი იყო გიორგი ალექსიძის კლასიკური საბალეტო დადგმები, რომლებიც მან სხვადასხვა წელს აკადემიის სტუდენტებისათვის შექმნა. აკადემიის საშუალო კლასების მოსწავლეების, კურსების სტუდენტებისა და უცხოელი სტაჟიორებისათვის გიორგი ალექსიძის ქორეოგრაფია აღადგინეს აკადემიის პედაგოგებმა. საღამოს რეჟისურაზე აკადემიის სამხატვრო ხელმძღვანელმა ჟანა აიუპოვამ იმუშავა.

ღონისძიების დასასრულს გიორგი ალექსიძის საბალეტმაისტერო კათედრის მოსწავლეებმა ანასტასია ბრეიტმა და მაია პალილიონისმა გიორგი ალექსიძის ხსოვნას საკუთარი დადგმები მიუძღვნეს.

ვასილ ამაშუკელის დაბადების დღე პანდემიის გამო ვერ აღინიშნა

14 მარტი უკვდავი ქართული ფილმის „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ ავტორის ვასილ ამაშუკელის დაბადების დღეა. ამ დღეს ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასი 1977 წლიდან აღნიშნავს. ვასილ ამაშუკელის გარდაცვალების შემდეგ, 1977 წლიდან, ქუთაისში მწვანეყვავილას სასაფლაოზე იკრიბებოდნენ ჩოხოსნები პროფესორ გოგი დოლიძის ხელმძღვანელობით და იმერეთის 11 სხვადასხვა რეგიონის მოსწავლეები. ღონისძიების დასასრულს ბავშვები ქუთაისის რომელიმე თეატრს სტუმრობდნენ და სპექტაკლს ესწრებოდნენ. პანდემიის გამო ეს ტრადიცია შარშან და წელს დაირღვა.

გოგი დოლიძე, პროფესორი, კინომცოდნე:

– ვასილ ამაშუკელის დაბადების დღეზე ყოველი წლის 14 მარტს იმერეთის გუბერნიაში გაერთიანებული 11 რაიონიდან თითოთითო ავტობუსით მოჰყავდათ სკოლის მოსწავლეები, რომლებიც მწვანეყვავილას სასაფლაოზე ჩატარებული ღონისძიების დასასრულს მიდიოდნენ თეატრში და ნახულობდნენ სპექტაკლს. პანდემიის გამო შარშან და წელს არ გამოგვივიდა ამ დიდებული ადამიანის დაბადების დღის აღნიშვნა. მომავალ წელს უკვე შეიძლება კვლავ შევკრიბოთ ბავშვები იმერეთის გუბერნიის სხვადასხვა რაიონიდან და ერთად აღვნიშნოთ ვასილ ამაშუკელის დაბადების დღე.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ↄ



შვეულად: 1. ფრანგი იმპრესიონისტი მხატვარი; 2. მეთოთხმეტე საუკუნის სპარსელი პოეტი; 3. კვირა დღის ძველი ქართული სახელწოდება; 5. პოეტის შთაგონების წყარო; 6. არგენტინის ნაკრებისა და „იუვენტუსის“ ფეხბურთელი; 8. საჭადრაკო ამოცანა; 11. კუჭქვეშა ჯირკვალი; 13. აქროლადი ნივთიერების კონცენტრირებული ხსნარი; 14. საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი; 15. შაქრითა და ხილის წვენებით დამზადებული აღმოსავლური სასმელი; 19. ადმინისტრაციული ერთეული საბერძნეთში.

თარაზულად: 1. ხელოვნების მუზეუმი ნიუ იორკში; 4. ებრაელთა საყოფაცხოვრებო სამართლის წესებისა და კანონთა კრებული; 7. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 9. სხეულთა წონასწორობის პირობების შემსწავლელი მექანიკის ნაწილი; 10. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 12. აზერბაიჯანელ ქალთა ცეკვა; 16. კინოცენტრი იტალიაში; 17. მათემატიკური დებულება, რომლის მართებულობას ადგენენ მტკიცების გზით; 18. იტალიური ყველი; 20. იძულებითი ზემოქმედების ზომა კანონის დარღვევისათვის; 21. პროვინციის მმართველი თურქეთში; 22. მსხვილი ფინანსურ-სამრეწველო სააქციო გაერთიანება.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა